



ოჯბანო სბ. სოც.-დემ. პარტიის საზღვა-გარეთელ ბიუროსი.

Organe du Bureau à l'Étranger du parti Social-démocrate de Géorgie.

832
1954

დვანი

დროშა

“ NOTRE DRAPEAU ”

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 16

პატონო

ოანვადო

Paris.

1954

1954 წლის 11 იანვარს.

დღევანდელი დღე, 11 იანვარი, ჩვენთვის გლოვის დღე არის: გასული წლის 11 იანვარს ჩვენ გაგვშორდა სამუდამოთ ნოე ჟორდანიას...

ახლა «ჩვენი დროშა», ჩვენი პარტიის ორგანო, თავს იხრის მის საფლავზე; თავს იხრის, უწინარეს ყოვლისა, როგორც მთელი ერის და სახელმწიფოს დიდი მოღვაწის ხსოვნის წინაშე. ამით იგი განსვენებულის მიერ ნაჩვენებ გზას მიყვება: პარტიის სამსახური ნოე ჟორდანიას ერის და სახელმწიფოს სამსახურათ მიაჩნდა. იმისთვის, რომ პოლიტიკური პარტიები თანამედროვე დემოკრატიის აუცილებელი ელემენტია და ძლიერი პოლიტიკური პარტია სახელმწიფო წესწყობილების ხერხემალი.

იქ, სადაც პოლიტიკური პარტიები დაჩაჩანაკდნენ, სახელმწიფო ცხოვრება მოდუნებულია, ხალხი ერთ გაბატონებულ ჯგუფის ან აშკარა მოძალადეთა ყურმოჭრილ ყმათ არის გადაქცეული. ამისთვის ნოე ჟორდანიას პირველი საქმე, ამ სამოცი წლის წინად მან საქვეყნოთ რომ აღიარა, ხალხის დარაზმვა იყო, ხალხის გამოფხიზლება დიდი მიზნებისთვის ბრძოლის მოსამზადებლათ. იგი ბრძოლისთვის ემზადებოდა, რადგან იცოდა, რომ მოპოებულ პოზიციებს მოწინააღმდეგენი უბრძოლველათ არ დასთმობდნენ. ჩვენი საზოგადოების დაყოფილათ და დაქსაქსულათ არსებობა კი მტერს ახალისებდა, რადგან ეს მას ჩვენზე ბატონობას უადვილებდა.

ნოე ჟორდანიამ მისი თაობის ერთი ნაწილის პოლიტიკური ხელმძღვანელობა იკისრა, მშრომელ ხალხის პოლიტიკურ პარტიაში დარაზმვა თავს იდვა. ზოგიერთებს ეს არ მოსწონდა; ეს გზა, მათი აზრით, ერთი ჯგუფის, საზოგადოების ერთი ფენის და, საერთოდ, მთელი საზოგადოების დაყოფის და გათიზვის გზა იქნებოდა. ნოე ჟორდანიას ამ შეხედულებას არ იზიარებდა და ხალხს სწორეთ ამ გზისკენ მოუწოდებდა, ძველ საზოგადოებაში არსებულ ურთიერთობაზე გასამარჯვებლათ. ამ გამარჯვებაში ხედვდა იგი ერის გამაერთიანებელს, მისი მკვდრეც ით აღმდგენელ ძალას.

ამ მიზანს მან მიაღწია: პირველი პოლიტიკური პარტიის დამაარსებელნი ჩვენში ის და მისი თანამოაზრენი იყვენ. ამას



30266

მოყვა მალე სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებების დაარსება. ეს პროგრესი იყო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, მისი «გავეროპილება», და არა უკან დახევა.

შემდეგ, ერთი პოლიტიკურ ჯგუფის, ერთი პოლიტიკურ პარტიის წინამძღოლათ მოვლინებულს, ნ. ჟორდანიას, ერმა მთელი ქვეყნის მმართველობის საქმე ჩააბარა, რადგან მისი ჯგუფის პოლიტიკურ საქმიანობაში ხალხი ხედავდა არა კერძო—პირად ან ჯგუფურ—ინტერესების სამსახურს, არამედ საქვეყნო საქმისთვის თავის განწირვას. ეს საუკეთესო მაგალითია ნოე ჟორდანიას ხსოვნის აღსანიშნავათ. ხალხმა იცის—თუ მას თავისუფალი არჩევანი აქვს—საით და რა გზით უნდა იაროს, თუ ვის მიენდოს და ვის უნდა გაყვეს.

ახლაც, ჩვენს საქმეს ავნებს არა ის, რომ ჩვენ სხვადასხვანაირათ ვაზროვნებდეთ და სხვადასხვანაირ საშვალეებებს დავუძებდეთ საერთო საქმის წარსამართავათ, არამედ ის, თუ თვით საქმეს ვერ მივეციტ საერთო მნიშვნელობის ხასიათი, ყველასთვის ერთნაირათ საჭიროსი, სასარგებლოსი და აუცილებელის. «თუ ცხოვრება და კულტურა—სწერდა ნ. ჟორდანიას—არ აერთებს და არ აკავშირებს ადამიანთა ჯგუფს ერთიმეორესთან, ისე არაერთარ გარემოებას არ ძალუძს ისტორიულ მღელვარებით დაქსაქსული ვრი, ერთ უღელში შეებას, ცხოვრების ჭაპანი ერთათ გააწვეინოს» (იხ. ნ. ჟორდანიას ნაწერები, ტომი I, გვ. 13, თბილისი 1920 წ.). ჩვენ თუ ხალხის ჩვენს ირგვლივ შემოკრება ჩვენი პირად ან ჯგუფურ ინტერესებისთვის გვინდა გამოვიყენოთ და არა საზოგადოების საკეთილდღეოთ, დიდი საქმე არ გაკეთდება. საზოგადოება ამაში კარგად ერკვევა.

ამის შეგნება, ე. ი. საერთო საქმისთვის თავის დადება, დამახასიათებელი თვისება იყო იმ წრის, ნ. ჟორდანიას რომ ხელმძღვანელობდა, და საერთოდ იმ თაობის ქართველ მოღვაწეების. ხალხი ამას ხედავდა, სხვა პარტიებიც ასეთ საქციელს პატივს სცემდენ და აფასებდენ. ეს ნათელი გახდა განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენი ერის ცხოვრებაში დიდათ აღმაფრთოვანებელი, ხოლო იმავე დროს ფრიად საშიშარი და საპასუხისმგებლო მომენტი დადგა: საკითხი ჩვენი ხალხის ფიზიკურათ გადარჩენის და ჩვენი ხალხის პოლიტიკურ ორიენტაციის. როგორც 1917 წლის 20 ნოემბერს, საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე, ისე 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, ნ. ჟორდანიას ყველა პოლიტიკურ პარტიების შეთანხმებით და მონდობილობით—და ამიტომ მთელი ერის სახელით—ლაპარაკობდა. როგორც ნოემ-

ბერში, ეროვნულ ყრილობაზე, ყველა პოლიტიკური პარტიები ნოე ქორდანიას, ანდობდენ, რომ მათი სახელით მას ძალიან ზომიერათ ელაპარაკა, რადგან ჩვენი ხალხი კიდევ გზა-ჯვარედინზე იდგა და მას შეეძლო ისეთ დადგენილებას გაყოლოდა, რომ იგი ერისთვის საბედისწერა ყოფილიყო; ისე 26 მაისს, იმავე პოლიტიკურ პარტიების—ანუ პოლიტიკურათ დარაზმულ მთელი ერის სახელით—იგივე ნ. ქორდანია ქვეყანას გაბედულათ აუწყებდა ქართველი ერის უზენაეს და ურყევ გადაწყვეტილებას ამიერიდან კვლავ დამოუკიდებლათ არსებობისთვის, ამ დამოუკიდებელ ცხოვრების მომავალ ფორმას და შინაარსს.

ეს უდიდესი სახელმწიფო აქტი იმ დროს ვერ განხორციელდებოდა, ქართველი ერი პოლიტიკურათ მომზადებული რომ არ ყოფილიყო, ქართველი ხალხი პოლიტიკურ პარტიებში დარაზმული რომ არ ყოფილიყო. მტერმაც და მოყვარემაც ნათლათ დაინახეს მაშინ და აღიარეს ისიც, რომ ქართველი სოციალდემოკრატია თავიდანვე ქართველი ერის სამსახურში იყო ჩაბმული, რომ იგი ამ ერის მოქმედების ქვაკუთხედი იყო, რომ იგი საზოგადოების არა დაყოფის—როგორც ზოგი ფიქრობდა იმის აღორძინების პირველ ხანებში—არამედ საზოგადოების დიდი უმრავლესობის გაერთიანებას ემსახურებოდა, ერის უაღრეს ინტერესების მისაღწევათ. ეს გამოაშკარავდა ყველასთვის სწორეთ მაშინ, როცა უაღრესად საჭირო იყო.

ვინც ნოე ქორდანიას, ჩვენი ქვეყნის და ჩვენი დროის ამ უდიდეს სახელმწიფო მოღვაწის სახელს იგონებს და მისი საქმიანობა უნდა სამაგალითოთ დაისახოს, მას უნდა ახსოვდეს, რომ ნოე ქორდანია დიდი და ერთგული კაცი იყო თავის პარტიის და ამავე დროს ეს პარტია, მისი გავლენის და ხელმძღვანელობის, მისი ცოდნის და გამოცდილების წყალობით, მთელი ერის ინტერესების სამსახურში იყო ჩაყენებული.

იმისთვის, რომ სახელმწიფოს დანიშნულებათ მას მიაჩნდა ზრუნვა მთელი ერის კეთილდღეობისთვის, ხოლო პოლიტიკური პარტია—საშვალე ბათ, სახელმწიფოს მომწყობ და გასამაგრებელ ძალათ.

რას ნიშნავს ეროვნული განვითარება?

«რას ნიშნავს ეროვნული განვითარება? რას შეიცავს ეროვნება? დღევანდელ ცხოვრებაში ეროვნული განვითარება — ეს მისი ეკონომიური განვითარებაა. ერი გაღონიერებული ნივთიერათ, გაღონიერებულია ლიტერატურულათ, იურიდიულათ, პოლიტიკურათ, ე. ი. კულტურულათ. ასეთი ერი თუ დამოუკიდებელია, პირველი ალაგი უჭირავს ქვეყანაზე (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და სხ.), ხოლო თუ დამოკიდებულია, ადვილათ იტანს გარედან მოვლენილ ძალმომრეობას, მედგრათ იბრძვის თვითარსებობისათვის და თავის ელფერს, პირადობას სამუდამოთ შეირჩენს (პოლონეთი, ირლანდია, ჩეხია, ელზას-ლორენი). გაძლიერებული, წელში გამაგრებული ეკონომიურ ნიადაგზე, გაძლიერებულია აგრეთვე ეროვნულ თვითცნობიერების ნიადაგზე. მისთვის «ეროვნული პრინციპი» წარმოადგენს არა უბრალო სიტყვას, არამედ იმ პირად თვისებებს, რომელნიც მასში აღძრა და ააღორძინა საწარმოვო ძალის განვითარებამ და ჩაეწნა მის კულტურას. გალაშქრება ამ თვისების წინააღმდეგ ნიშნავს გალაშქრებას მისი არსებობის დედა-ბოძის, მისი ცხოვრების წინააღმდეგ. ნივთიერი წარმატება — ეს ხალხის სამოქმედო ასპარეზის გაფართოვება, მისი ძალღონის გამრავალგვარება და გაღონიერებაა. აქ ეროვნული პირადობა და ნივთიერი ვითარება მუი-დროთ არის ერთმანეთზე დაკავშირებული, დაახლოვებული, გადაბმულ-გადმობმული. თუ პირველი ფერხდება, ფერხდება მეორეც. ვითარდება მეორე, ვითარდება პირველიც. ესენი განუყრელათ ერთათ მიდიან; ერი რამდენათ ამ გზაზე წინ წასულა, იმდენათ მისი განსაკუთრებითი ეროვნული თვისებები გამრავლებული და გამოაშკარავებულია. ხოლო რამდენათ ის უკან ჩამორჩენილია, იმდენათ მისი პირადობა, ინდივიდუალობა მიმქრალი, მიმალულია. ამ შემთხვევაში ის არის ჩვილი, მსუბუქი, რომლის გადაგვარ-გადაშენება, შემუსვრა-ამოყლეთა ადვილი საქმეა. მთელი ახალი ისტორია ამის დამამტკიცებელი საბუთია»...

(ნ. ქორდანიას წერილიდან «გაზ. «ივერია და ერღვნება» 1895 წ. იხ. ნ. ქორდანიას ნაწერების ტომი I, გვ. 98—99, 1920 წ.)

მესამოცე წლების მოღვაწენი.

«... სიყვარული გლეხ-კაცობის და სიყვარული სამშობლო ენის შეიქმნა იმ ღერძად, რასაც უნდა გადაეტრიალებია ჩვენი ცხოვრება. ეს სავსებით შეიგნეს მესამოცე წლების მოღვაწეებმა და ამ მხრით მიმართეს თავიანთი ძალ-ღონე. მათ მოქმედებაში არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა. ვისაც ხალხისთვის გული შესტკიოდა, მას უნდა ეზრუნა მის მოქალაქობრიობაზედაც. ეს კი შესაძლებელი შეიქმნებოდა ბატონყმობის ბორკილის დამსხვრევით და სწავლა-განათლების გავრცელებით. რა ენაზე შესაძლებელია სწავლის მიღება, თუ არა სამშობლო ენაზე? ორივე მხარე მჭიდროთ დაუკავშირდა ერთმანეთს. ხალხის უფლების დაცვა ნიშნავდა იმავე დროს მისი ენის დაცვას, მისი ენის დაცვა ხალხის უფლების დაცვას. სამშობლოს სიყვარულმა მიიღო განსაზღვრული, პრაქტიკული ფორმა, ის პაერიდან დედამიწაზე ჩამოვიდა, გრძნობამ ხორცი შეისხა, ტრაბახობა მოქმედებათ იქცა. სამშობლო ენა გიყვარდესო! აბა, უთხარით ეს მაგ. ფრანგს, თუ მან მაშინვე სიცილი არ ასტეხოს, განა ამასაც ლაპარაკი უნდაო. მაგრამ თუ იმავე კითხვით ელზასელ ფრანგს მიმართავთ, ის გულდასმით მოისმენს, მართალს ამბობ, ამის ქადაგება ჩვენში საჭიროაო. რატომ ასე განსხვავდებიან ეს ორი მომენტი ერთმანეთისაგან? იმიტომ, რომ პირველს არავინ ძალას არ ატანს ფრანგული ენა დაივიწყეო, მაშინ როდესაც მეორის გასაგებმანველებლათ გვიმანიის მთავრობა ყოველ ღონისძიებას სმარობს. ისტორიულ წარსულში ენის მხრით ჩვენ დიდი გასაჭირი არ გვადგა. აქარ-ქობულელთ დღემდე მოიტანეს ქართული ენა. ამ საუკუნეში კი სხვანაირ გარემოებაში ჩავდექით. მართალია, ომს აღარავინ გვიშვრება, მაგრამ მაგიერში უომრად, უიარაოდ, ტკბილი სიტყვებით გვიძვრებიან ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში, გვიჩხრეკენ გულს, სულს. ყველაფერს. და რად იხარჯება ამდენი შრომა? ეგების ქართველობა უარყოფს! ეს მიდრეკილება თავიდანვე იყო, მხოლოდ თავიდანვე არ ყოფილა მისი ცხოვრებაში გასატარებელი პირობები. ეს გაჩნდა მესამოცე წლების შემდეგ, როცა ხალხი განთავისუფლდა და განვითარების გზას დაადგა.

აი, ამ მოძრაობის ნაყოფია ის მწერლობა, რომელიც ჩვენს გონებრივ ზრდას საფუძვლად დაედვა და რითაც დღესაც ვიკვებებით. მწერლობა ეხება ორივე კითხვას: პოლიტიკურ-სოციალურს და ეროვნულს. ქართველის გაევროპილება და ქართველის გაქართველება—აი დედა-ბოძი იმ მიმართულებისა. ამ საძირკველზე შენდება კედელი. პირველი წყება ამომენდა მესამოცე წლებში, ხოლო მთლად აშენება ჩვენ

წარმატებისაგან არის დამოკიდებული. მესამოცე წლების მოღვაწეები მარტო ლიტერატურით არ დაკმაყოფილდნენ. ისინი აარსებენ სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებებს, როგორც იარაღს საქართველოს წინწაწევისთვის, ადგენენ სახელმძღვანელოებს, როგორც ერთად ერთ სახსარს დედა-ენაზე ბავშვების აღზრდისა და სხ. ერთი სიტყვით, როგორც ცხოვრებით, ისე გონებით, ევროპის ფერხულში ჩავებით. ხალხმა იწყა თავისი კარჩაკეტილი მდგომარეობიდან გამოსვლა. ცხოვრება დაინძრა და აი აქ ხდება ის, რაც ნახევარი საუკუნის წინ ვერ მოხდა: ცხოვრება და პოლიტიკა, ხალხი და მართვა-გამგეობა ერთმანეთს შეხვდნენ და ამით შესაძლებელი გახდა საქართველოს სვე-ბედის შეგნება. ეს მხოლოდ დასაწყისია. მთელი ჩვენი განვითარება იმავე დროს მოასწავებს ამ შეგნების განვითარებას და გავრცელებას... ეიმეორება: როგორც კი ხალხი ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლდა და დაადგა მოქალაქობრივ გზას, შესაძლებელი გახდა პოლიტიკური და ეროვნული კითხვების წამოყენება, მათი გავრცელება და შეგნება. მესამოცე წლების მოღვაწენი გამოვიდნენ ორივე მიმდინარეობის მომხრედ და მეზაირაღედ»...

(ნ. ყოდნანიახ წერილიდან «მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება»; პირველად დაიბეჭდა «გვალში» 1896 წ. იხ. მისი ნაწერების ტომი II, გვ. 167—170, 1920 წ.)

6. ჟორდანიას რუსული წიგნიდან.

... «საბჭოთა წეს-წყობილების დაცემაში, დემოკრატიის დამკვიდრებაში და ეროვნული მშვიდობიანობის დამყარებაში დაინტერესებულია ყველა ხალხები რუსის ხალხთან ერთად: გაერთიანება ყველა ერების ოპოზიციონური და დემოკრატიული ძალების განსახდერულ საერთო პროგრამაზე—თავდებია სხვადასხვა ფერის რეაქციაზე გამარჯვების. ერთიმეორის დაუხმარებლათ ვერც ერთი ეს ხალხები ვერ მიასწევენ განთავისუფლებას. ცალ-ცალკე მივდივართ, მაგრამ ერთად ვსცემთ»...

«რუსეთის სოციალისტები, რამდენათაც ისინი დარჩებიან სოციალისტებათ. მიიღებენ ჩვენს ეროვნულ პროგრამას და მით გახსნიან ახალ ფურცელს თავის ხალხის ისტორიაში. წარმოდგენა წინააღმდეგის ნიშნავს წარმოდგენას იმისას—რომ ისინი განშორდნენ სოციალიზმს და გადავიდნენ ბურჟუზიული დემოკრატიის ბანაკში. მაშინ სტიქია შევა თავის ძალაში და ეროვნული ბრძოლა დამარხავს დიდი ხნით აღმოსავლეთ ევროპის სოციალურ დემოკრატას».

(«იტოგი» გვ. 46-47. 1928 წ.).

ინა შოკლანის მოგონებებიან.

I

რევოლუციური გამოსვლა ნოვს წიგნი «ჩემი წარსული».

ერთ დღეს, როცა ნოვსთან შევედი ჩვეულებრივად—მაგიდაზე დავინახე სქელი რვეულები. ჩემს შეკითხვაზე თუ რა რვეულებია ეს—მიპასუხა: «ეს არის ჩემი მოგონებანიო». კარგი იქნება გადავთარგმნოთ-მეთქი. ის დათანხმდა და როგორც შევნიშნე ამით ის კმაყოფილიც დარჩა.

ამხანაგებმა გრიშა ურატაძემ და პავლე სარჯველაძემ დიდი მონაწილეობა მიიღეს ამ წიგნის ქართულად გამოცემაში. ამათ და გრ. მოდებაძემ წინასწარი ხელის მოწერით შეკრიბეს ცოტაოდენი თანხა და შეუდგენ გამოცემას. კორექტურას თვითონ ნოვ ასწორებდა. ამხანაგებს უნდოდათ ნოვსთვის გაეკეთებიათ «სიურპრიზი» და ეს წიგნი მიერთმიათ მისთვის მისი დაბადების დღეს. საუბედუროთ მან ის ვეღარ ნახა. გარდაიცვალა სწორედ იმ დღეს, რა დღესაც წიგნი უკვე სავსებით მზათ იყო. ამიტომ იყო რომ სტამბიდან მოტანილი პირველი ეგზემპლარი «ჩემი წარსული»—დადებულ იქნა ნოვს ცხედართან და შემდეგ მასთან ერთად კუბოში...

წიგნი დაწერილია 1939 წელს.

II

ნოვ ყოველ-დღიურ ცხოვრებაში.

ნოვ ეწეოდა მეტად რეგულიარულ ცხოვრებას. შეიძლება ითქვას—მონოტონურს. ამბობენ ფრეიბურგის მცხოვრებნი საათს კანტზე ასწორებდნო. სწორედ ასე, ნოვს ცხოვრების მიხედვით შეიძლება გვცოდნოდა თუ რომელი საათია. დგებოდა ის დილით ზუსტათ რვა საათზე ზაფხულში. სრულ რვანახევარზე—ზამთარში. ჩამოვიდოდა მაშინვე ზედა სართულიდან ძირს, დაღევდა ქერის ყავას. ან ჩაის, შემდეგ ავიდოდა ისევ ზევით და მიალაგებდა თავის ოთახს. დაახლოებით ათ საათზე წავიდოდა საყიდლებისათვის ახლო დუქანში და შემდეგ მიდიოდა სასეირნოთ. 11-11 ნახევარ საათზე დაბრუნდებოდა სეირნობიდან, ავიდოდა თავის ოთახში და მაცადინობდა. 12 საათზე ჩამოვიდოდა, გააწყობდა მაგიდას და ზუსტად 12 ნახ. დაჯდებოდა სადილათ. არც კი იკითხავდა იყო თუ არა მზათ სადილი. ის არას შემთხვევაში არ ინდომებდა ჭამას არც პირველზე, არც თუ გინდა პირველზე და რამდენიმე წუთზე. ორ საათზე დაწვებოდა დასაძინებლად. ადგებოდა სამ საათზე, ჩაიცვამდა, წავიდოდა ისევ სასეირნოთ, იყიდდა გაზეთ «Le Monde»-ს. დაბრუნდებოდა სახლში ოთხ საათზე თუ ოთხზე და ნახევარზე, მიხედვით დარისა, შე-

ვიდოდა ყოველთვის «სალონში» და კითხულობდა გაზეთს. შემდეგ ავიდოდა ზევით და დაიწყებდა ისევ მაცადინებობას. ან სწერდა საგაზეთო სტატიებს. ან პასუხს აძლევდა იმ მრავალ წერილებზე, რომელიც მას მოსდიოდა. სწერდა დაახლოებით ორ საათს საღამოებით და როცა დაათავებდა სტატიის დაწერას, მოვიდოდა ჩემთან გაბრწყინებული თვალებით— ასეთ სიამოვნებას განიცდიდა ის შემოქმედებისაგან. მას თითქოს ვიღაც ჩასძახოდა იმას, რაც უნდა დაეწერა, თითქოს უკარნახებდა ვინმე დაწერილი სტატიის შინაარსს. და არ შეეძლო დამშვიდებით დაეძინა სანამ თავის აზრებს არ დაალაგებდა ქალაქზე.

7 საათზე და 20 წუთზე ჩამოვიდოდა სამხარეულოში და ზუსტათ, წუთით წუთზე, 7.30 წუთზე, ივანშემებდა. 8 საათზე ავიდოდა ზევით, საწოლ ოთახში და დაწვებოდა დასაძინებლად. საძუმელისადმი იყო მეტად გულგრილი, მაგრამ შექმანდი, რაც უნდა უბრალო ყოფილიყო, მის გემოზე უნდა ყოფილიყო შეკაზმული. არას დროს არ დაარღვევდა იმ «დეიტას», რომელსაც ექიმი გამოუწერდა.

ბუნებიდან ის არ იყო მაგარი ჯანმრთელობის. მას სამჯერ აღმოაჩნდა ჭლეკის ნიშნები. უკანასკნელად, როცა აქ ჩამოვედით, 1921 წ. აპრილში. ის საბოლოო განკურნა ავადმყოფობიდან ექიმმა მანუხინმა და თუ მან იცოცხლა 85 წლამდე—ეს მხოლოდ თავის მტკიცე ნებისყოფის წყალობით და უკიდურესად რვეულიარული ცხოვრებით. ის მიჩვეული იყო თავის მოვლას; უნდოდა ეცხოვრა თავის დედისათვის. ჩვენმა საწყალმა დედამ დაჰკარგა ნოეს ორი უფროსი ძმა და მას არ უნდოდა მისთვის ერთი ზედმეტი მწუხარება მიეყენებია.

მისი ერთი უდიდესი სიამოვნება იყო წიგნის ყიდვა და ომამდის ხშირად, კვირა დღეებზე. დადიოდა «ბუკინისტებთან» სენის პირათ და იქ პოულობდა იშვიათ და საინტერესო წიგნებს. ასე შეიქნა მისი ბიბლიოთეკა. ნოესთან მოდიოდნენ თითქმის ყოველდღე ამხანაგები, რომლებიც მასთან თანამშრომლობდნენ; ან სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ყოველთვის წინდაწინ დარეკდნენ ტელეფონით მიღებისათვის. ის იღებდა ყველას გულლიათ და თავაზიანობით. ყველას რაიმე სასიამოვნოს ეტყოდა, ხოლო თავისიანებთან ხანდახან მკაცრიც იყო. ყველაზე მეტად მას უყვარდა მუსიკის ფი უბრალო ხალხთან. საქართველოში, როცა ის პრეზიდენტად იყო და სახლში 5-6 საათზე ბრუნდებოდა სასადილოთ— თითქმის ყოველდღე უძახოდა «აპალო-ჩითახოს» (ჩითახო იყო ზედმეტი სახელი კოჭლობისათვის. იყო სრულიად უბრალო კაცი სოფლიდან) და ეტყოდა—რა ამბავია ქვეყანაზე? ჩითახო იდგა კარებში და მოყვებოდა და მოყვებოდა ცისას და ბრისას. უნდა გენახათ როგორ უსმენდა ნოე... ლანჩხუთში კი მასთან მოდიოდნენ გლეხები, ოდის «ბალკონი» მუდამ საესე

იყო და მათთან დიდი ხნით მუსაიფობდა. ასე სწავლობდა ის სიბრძნეს ხალხისაგან. ის ყოველთვის ახერხებდა დროს პოვნას ყველასათვის და ყველა წერილებზე უპასუხებდა მაშინვე.

ოჯახს ეპყრობოდა მთელი თავის სულით და გულით. ხანდახან იტყოდა ხოლმე: რა პოლიტიკური მოღვაწე მე ვარ, მე უბრალო ოჯახის კაცი ვარო. 1951 წელში მე ფეხი მოვიტეხე და საავადმყოფოში ვიწექი. ის ყოველ დღე დადიოდა სანახავად, რის გამო უარს ამბობდა ნასადილევს ძილზე. რაზედაც ასე მიჩვეული იყო და რაც მისი ჯანმრთელობისათვის ასე საჭირო იყო. როცა საავადმყოფოდან ორი კვირის შემდეგ სახლში მომიყვანეს—ჩვენ მარტონი ვიყავით (მოსამსახურე არ გვყავდა და შვილები ქალაქში არ იყვნენ) და მივლიდა ის. 1952 წ. მოვიტეხე მეორე ფეხი, მაგრამ რაღაც სასწაულით მე მაინც დავიწყე დიდის გაქვივრებით სიარული. მე არ შემეძლო შემსრულებია ყველა საოჯახო სამუშაოები დანოე სულ მეკითხებოდა: ხომ არ შეუძლია მას როგორმე დამეხმაროს. მაგრამ მე არ შემიძლო მიმეღო მისი დახმარება, რადგან მუშაობდა მეტად ცუდათ, ისე, რომ ისევ მე მიხდებოდა გაკეთება.

ის დიდის სიამოვნებით მიდიოდა ზაფხულობით ლევილში და ამბობდა: ლევილში რომ მივდივარ, მგონია ლანჩხუთში მივდივარ. და რომ მართლა მომიწევდეს ლანჩხუთში მისვლა—მეორეჯერ დავიბადებიო...

III

მგრძნობიარე შემთხვევა.

ფრანგებს აქვს მიცვალებულის უდიდესი კულტი. მათი სასაფლაოები მუდამ სუფთა და ყვავილებითაა გალამაზებული. სასაფლაო მიტოვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მიცვალებულს ყველა ნათესავი და მეგობრები დაენოცა ბავშვებსაც თავიდანვე ამ შეგნებით ზრდიან. ამიტომ არის რომ სასაფლაოზე მუდამ შეგიძლიათ ნახოთ პატარა ბავშვები, რომლებიც რწყავენ სასაფლაოს ირგვლივ ჩამწკრივებულ ყვავილებს. და აი პატარა მამი მადესტი, შვიდი წლის, თავის საკუთარი თაოსნობით, 11 ნოემბერს, ზავის დღეს, წავიდა მეყვავილესთან, გამოართვა ყვავილი და წაიღო «ბაბუს» ე. ი. ნოეს სასაფლაოზე და დააწყო წითელი ჰერანი მისი სურათის გარშემო. თან ყვავილებს შორის ჩამალა ფრანგული პატარა დროშა. ფრანგი მადესტის მთელი ოჯახი, ისე როგორც ჩვენი შვილის შვილები—გვეძახიან ჩვენ «ბაბუ» და «ბები». როცა მე უამბე ეს ისტორია ქ ნ მადესტს—მითხრა: ჩემები «ყველა წმინდანების» დღეს, 30 ნოემბერს, სულ მთხოვენ ყვავილებს «ბაბუსათვისო».

ინა ყორღანია.

მ ო ზ ო ნ ე ზ ა.

ეს იყო მოსკოვის წითელი ჯარები რომ შემოესია ჩვენს ქვეყანას იმის წინა თვეებში. ერთ დღეს მე ვიდექი მთავრობის სახლის წინ. დავინახე ქვემოდან მომავალი მაღალი ტანის, მზისაგან დამწვარი პირისახის კაცი. თავზე პატარა ნაბდის ქუდი ეხურა, შავი შალის ჩოხა-ახალოსში კოხტათ გამოწყობილს წელზე დიდი პრტყელი მოვერცხლილი ხანჯალი ვრტყა. ყველა მიხვდებოდა, რომ ეს უცნობი კახელი უნდა ყოფილიყო.

მოდიოდა დინჯათ და ყელ მოღერებული მთავრობის სახლის ფანჯრებს ათვალიერებდა. მომიახლოვდა, გაჩერდა ჩემს წინ, მორიდებით სალამი მომცა და მკითხა თუ ვისია ეს სახლი, როცა დაწვრილებით გაიგო ჩემგნით ამ სახლის შესახებ ყველაფერი, ძალიან ესიამოვნა და დამიწყა ჩემი ვინაობის გამოკითხვა. ვერ მოვასწარი პასუხი მიმეცა, რომ ამ დროს პორთფელით ხელში მთავრობის სახლიდან გამოვიდა ჩვენი მაშინდელი სამხედრო მინისტრი, პარმენ ჭიჭინაძე, რომელმაც ორიოდ სიტყვა გადმოიხროლა ჩემსკენ და პირდაპირ ტრამვისაკენ გასწია. კახელმა მას თვალი გაადევნა; უცბად მობრუნდა და მკითხა: «ეს კაცი იორდანე ხომ არ არის?» მე მაშინვე მივხედი, რომ უორდანიას მაგივრათ შეცდომით იორდანეს იძახის და აუხსენი, რომ უორდანია ჯერ კიდევ თავის კანცელარიაშია. დავანახე ჩვენს პირდაპირ ქუჩაზე გაჩერებული ნოეს ეტლი და უთხარი, რომ თუ სურვილი აქვს მისი ნახვის, შემიძლიან შევიყვანო მასთან.

«არა». გააქნია ხელი, «ხომ ხედავ მე ცოტა ზარახოშათა ვარ და მთვრალი კაცის მასთან მისვლა არ იქნება კარგი. აი, თუ შენ კარგი კაცი ხარ, რომ გამოვა სახლში წასასვლელად, მაშინ ის მე შორიდან დამანახვე, რომ ერთი შევხედო რა იერის ვაჟკაცია». გაჩუმდა და უცბათ შემომძახა: «ეე ოხერო, ჩემი შვილიც პარტიის კაცია. გვარდიაშია; მინდა მისი მეთაური, საქართველოს პატრონი, ჩემის თვალით დავინახო».

სანამ ნოე გამოვიდოდა, მე დაუწყე მუსიადი. მაგრამ გულდასმით ყურს არ მიგდებდა; გამაწყვეტინა ლაპარაკი და მითხრა: «თუ ღმერთი გწამს, რა რჯულის კაცი ხარ, რომ სომხის სირაჯივით ე ღიპი გადმოგიგდია?»

ქართველი ვარ, ქართველი, მუშა კაცი, მიუტე.

«კარგი და აგრე რამ დაგგვალა, ცოტა ტანი ვერ აიყარე, რომ კაცმა პირდაპირ შემოგხედოს?»

ოხ. მეთქი, შენ რომ იცოდე როგორი მებატონეები გვყავდნენ ქართლში, რომ მათის შიშით ცაში ფრინველი თრთო-

და და დედა მიწაზე ჭიანჭველა და რა გიკვირს, რომ მათ ხელში გლეხი კაცი ლაღათ ვერ გაზრდილიყოს? გავეხუმრე.

გაიცინა და თავისებურათ შემამკო: «შე მასხარავ შენ, რასა ბოღამ, ღმერთს მამიშენისათვის რომ შნო არ მიეცეს შენს შესაქმნელათ, აქ ბატონი რა შუაშია? გეტყობა ხუმარა კაცი ხარ და ერთი უნდა დაგპატიყო, რომ პატარა გადავკრათ და ცოტა გავიცინოთ».

ამ ლაპარაკში ვიყავით, რომ გაიღო კარი და გამოვიდნო. ჩვეულებრივით მუდამ წელში გამართული შურდულივით გაქანდა თავის ეტლისაკენ.

აი, ეს არის ჟორდანია, აჩქარებით უთხარი, რომ მოესწრო მისთვის შეხედვა.

დღინჯ შემოყრილი, გაბრწყინვალებული თვალებით დაუწყო ყურება და სანამ ნოე ჩაჯდებოდა ეტლში, თავისთვის ხმამალა გაიძახოდა: «აი შენი ღმერთის ჭირიმე, ჯეირანივით რომ მიაქანებ მაგ ფეხებს!» კარგა ხანს არ მოაშორა წასულ ეტლს თვალი, მერე მოიხედა ჩემსკენ და მკითხა: «რომელი მხრიდან უნდა იყვეს?» და თვითონვე დაუმტა: «მგონი იმერელია, არა?» არა, გურულია, გურული, უპასუხე. «სულ ერთია», მომიგო, — «კორტოხს იქით ყველა იმერელია... ვენაცვალე მაგას... აბა, ეხლა წავიდეთ, შენ რაკი მე ეს კაცი მაჩვენე, აუცილებლათ მისი სადღეგრძელო უნდა დავლიოთ, ისე არ გავიშვებ». წავედით ერთათ. ის ავლაბარში უნდა გასულიყო, მე ქარვასლისაკენ მივდიოდი.

მადლობის მოხდით უარი უთხარი დუქანში წასვლაზე და ძალიან გაუკვირდა, როცა გაიგო, რომ მე ღვინოს არ ვსვამდი.

«როგორ, ღვინოს არა სვამ? ქართველი კაცი და ღვინოს არ სვამ? მაშ რას სვამთ ქალაქელები? თუ მარტო შენა ხარ აგრეთი ბერი? აბა, მე ვფიქრობდი მეორე ჩამოსვლაზე ერთი ტიკი საუკეთესო ღვინო მიმერთმია მთავრობისათვის და თუ ისიც შენსავით არ სვამს ღვინოს, აშენებულა ქვეყანა!» როგორ არა, მიუგე, ჟორდანიას უყვარს კახური ღვინო.

ამ დროს მომაგონდა ერთი ამბავი ამ ღვინის შესახებ და მოუყვი:

ერთჯერ, მეთქი, ჟორდანიას კანცელარიაში ვიყავი. შემოვიდა კარისკაცი (მოხუცი, ყოფილი სტამბის მუშა, ჩვენს ამხანაგი, გიორგი) და ყურში რალაცა ჩასჩურჩულა.

«შემოვიდენ». ხმამალა უთხრა გიორგის ჟორდანიამ და მალე კარი შემოაღეს სამმა დაბრძენებულმა ახალგაზდა კაცმა. დასხდენ სკამებზე და ერთმა მათგანმა ნელის ხმით, ცოტა გაუბედავით დაიწყო: ბატონო ნოე, თვითმპყრობელ მეფის დროს მშრომელი ხალხი ათასნაირათ იტანჯებოდა, მის სიჯანსაღეზე და კეთილდღეობაზე ქვეყნის მმართველნი არ ფიქრობდენ. სხვა მრავალ სივაგლახესთან ხალხს დიდ ზიანს აყენებდა ლოთობა, რის მიზეზითაც ხდებოდა მრავალი ავაზაკო-

ბა, ოჯახში უსიამოვნება, უდროოთ სიჯანსაღის დაკარგვა, დასნეულობა. მაშინ თუ არ იყო თავისუფლება და ამ ბოროტებას წამალი ვერ დასდო ხალხმა, ეხლა რა გვიშლის რომ გამოვცეთ კანონი და ავკრძალოთ მთელ საქართველოში ღვინო-არაყის სმა?

ეს უკანასკნელი ფრაზა არა მქონდა დამთავრებული, რომ კახელმა შეფოთია დაიწყა; არ მაცალა ამბის გაგრძელება და მკვახეთ შემეკითხა: «მერე რა უთხრა იორდანემ?»

ქორდანიამ, განვაგრძე მე, დაუძახა კარისკაცს და უბრძანა მოეტანა სახრე. გიორგიმ გაიცინა და ღიმილით შევეკითხა: «რათ გინდათ ნოე სახრე?»

აი ამათვის, მიუგო ქორდანიამ. მინდა ცოტა ჭკუა ისწავლონო. გიორგი გაჩერდა. ვერ მიხვდა რაში იყო საქმე. ახალგაზდები კი მიხვდნენ სახრის ხსენების მნიშვნელობას, ცოტა შეიშმუშნენ და გამტკრებული უცდიდნენ რას ეტყოდა მათ ქორდანია.

თქვენ როგორ ფიქრობთო, მიმართა მათ, ჩვენმა ხალხმა იმისთვის მოიპოვა თავისუფლება. რომ მათ ცხოვრება მოუწყოთ და გაუშუქოთ, თუ რაც სიკეთე აქვთ ისიც დაუნგრიოთ? მთელი კახეთი ამ ღვინის მოსავლით ირჩენს თავს; ეს არის მისი ერთადერთი წყარო ცხოვრების და რომ ღვინის სმა ავკრძალოთ, ამ ხალხს რაღას ეუბნებიან? რით გინდათ, რომ შეინახონ მათ თავიანთი ცოლ-შვილი? გურია-სამეგრელოს მრავალ ადგილებში ციებ ცხელებაა მოდებული; მცხოვრებნი პატარა ამ ღვინო-არაყით იბრუნებენ სულს. ებრძვიან ავადმყოფობას და თქვენ გინდათ ეს საშუალებაც წაართოთ ამ ხალხს?

კიდევ ბევრი რამ ელაპარაკა ქორდანია მათ და ისე გაისტუმრა.

ამ ლაპარაკში მივედით კიდევ მე და კახელი ქარვასლის მოედანზე. ამბავი რომ გავათავე. გამაჩერა, დაწია დაბლა თავი, გადამეხვია და მაკოცა. თვლებიდან ცრემლი გრძელი ხელსახოცით მოიწმინდა და მითხრა: «მასწავლე შენი სახლი, სადა სცხოვრობ. რომ მეორეთ ჩამოვალ, უნდა შენთან მოვიდე. შენ უნდა წამიყვანო მასთან, რომ ვნახო, ერთი გადავეხვიო და ვაკოცო იმ ქრისტიანულ შუბლში».

დაუწერე ჩემი მისამართი, ჩაიდო უბეში და გამომეტხოვა. წავიდა მხიარული, ოცნებები და იმედით... რა იცოდა, რომ იგი თავის სურვილს ვეღარ შეასრულებდა, რომ მოსკოვი ქართველ ერს წაართმევდა თავისუფლებას. რომ კახელებს დაუნგრევდა ოჯახს. აუშლიდა საკუთარ ვენახს-მეურნეობას და მათ კი გახდიდა მონებათ!

გ. კრამე.

გ ლ ო ვ ი ს ზ ა რ ი!

უდიდესი ქართველის, ნ. ნ. ქვრიანიას ხსოვნახ.

კვლავ შემოკრა ერთხელ კიდევ
მშობელ ერის გლოვის ზარმა,
საქართველოს გულს გადევრა
მწუხარების შავი ნარმა.

დროშა ძველი დიდებისა
შენ საფლავზე დაიხარა,
ცას ფირუზს და ხმელეთს ზურმუხტს
თალხი ისევ გადეთვარა.

ღრმად ფიქრობდი ძველ კოლხეთის
უპატრონო ოქროს ვერძზე,
ბაზალეთის ტბის ლურჯ ფსკერში
აკვანში მწოლ ბავშვის ბედზე.

ოცნებობდი: ქართლ-კახეთზე,
იმერეთზე, გურიაზე,
იმედების შუქს აფენდი
მშობელ მიწას ბურიაზე.

გსურდა ერი ჯვარზე ცმული
აღთქმულ ქვეყნათ მიგეყვანა,
ძმათა შორის სამუდამოთ
ერთი ხიდი გაგეყვანა.

შენ გინდოდა ტახტს დაგესვა
ერთობა და სიყვარული,
განგეკუთრნა დედის გული
დაქრილ-ნადაგ-წამებული.

დიდი ბრძოლა გადიხადე:
თოფით, კალმით, სიტყვით, საქმით,
სალი რწმენა მიიტანე
სამსხვერპლოზე მტკიცე აღთქმით.

და ჩასთესე ერის გულში
რაც კარგი და ძვირფასია;
სიხარული, სიყვარული,
სიცოცხლე და პოეზია.

შენს კაშკაშა ჩირაღდანით
აბრწყინვებდი ქართულ სულსა,
და ეძებდი ეკლის გზებზე
ქართლის ბედსა დაკარგულსა...

დღეს გადიწვი ვით კანდელი
ქართულ სულის სამსხვერპლზე.
თვით მტერიც კი მოგიგონებს
ყოველ წუთში, ყოველ დროზე.

კვლავ დარჩები ერის გულში
სატრფიალო, საგოგმანო,
ჩვენს წამებულთ პანთეონში
სამლოცველო, სათაყვანო.

უკვდავების სახელი გაქვს
ერის ბედში ჩაწერილი,
უფასოა შენი ღვაწლი
სიცოცხლეში გადახდილი.

ერთჯერ კიდევ გაეხსნება
შენს ქვეყანას კვალად ბედი,
შენს საფლავზე დაიხრება
ქართლის დროშა, მოძმის ქედი.

უზომოა შენზე ფიქრი:
სტირის გრძნობა, კენესის გული,
გავა დრო და არ გაქრება
ჩვენში, შენზე სიყვარული.

დაიცრემლა ერის თვალი
გული კვალად გაეზარა,
სტირის დედა, სჩივის მამა,
ნუ თუ ჭირი აღარ კმარა?

ზღაპრად რჩება შენი საქმე
შვილი შვილებს გადასცემენ,
საუკუნო ხსოვნის ძეგლებს
შენს მიწაზე აგიგებენ!

და იცოცხლებ: როგორც შოთა,
ვით ილია. აკაკ-ვაქა,
შენ ხსოვნა და უკვდავება,
საქართველოს ვაშა-ვაშა.

დ. ქიქვიციანი.

29 მარტი 1953 წ. ქ. სოფო.

ალექსანდრე ასათიანი

(ნეკროლოგი).

ქ. მიუნხენში (გერმანიაში), მძიმე ავთომყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ალექსანდრე ასათიანი.

განსვენებული ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი პიროვნება იყო. მას იცნობდნენ, როგორც აქ, ემიგრაციაში, ისე საქართველოში; იცნობდნენ, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, კაცს ენერგიულს, მუდამ მომქმედს და მუდამ იქ მყოფს, სადაც საზოგადო საქმე კეთდებოდა.

სულ ადრე ახალგაზრდობაში, განსვენებული მონაწილეობას იღებდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ წრეებში; ხალხი მისი მუშაობა უფრო მნიშვნელოვანია და უფრო ფართო ხასიათს იღებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.

წევრი დამფუძნებელი კრების, ალ. ასათიანი თვალსაჩინო დეპუტატი იყო, ოპოზიციის ერთი ლიდერთაგანი. იმავე დროს იგი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთი ხელმძღვანელთაგანი, როგორც საპარლამენტო მუშაობაში, ისე პარლამენტის გარეშე საზოგადოებრივი წრეების თავის პარტიის ირგვლივ შემოსაკრებათ. ამ მხრივ იგი დაუღალავი პოლიტიკური მუშაკი იყო და ამისთვის გავლენიანი ადგილიც ეჭირა თავის პარტიაში.

იგი ჩვენი იდეური თანამოაზრე არ ყოფილა, ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო და მისი პოლემიკა ჩვენთან ხანდახან ცხარე ხასიათსაც იღებდა. მაგრამ თავისუფლების იდეებს და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს იგი ემსახურებოდა ერთგულათ იმ გზით და იმ მეთოდებით, რომელიც მას უფრო სწორეთ მიიჩნდა, მისი მსოფლმხედველობისთვის უფრო შესაფერისათ და ისე, როგორც სინიდისი მას უკარანახებდა.

ჩვენ გამოვთქვამთ აქ დიდ მწუხარებას მისი ასე უდრავოთ გარდაცვალების გამო და საუკუნოთ განშორების ამ უზენაეს წუთში პატივისცემით გვინდა მოვიხსენოთ განსვენებული, როგორც მებრძოლი—მამულიშვილი, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის გაიზიარა მწარე და უანგარო ბედი სამშობლოსთვის თავდადებულ პოლიტიკურ ემიგრანტისა.



30206

თეოლოგიური დაბრუნება.

საქართველოს თეოლოგიკური და თეოლოგიური მოწინააღმდეგეებს ისე, როგორც იმის დამოუკიდებლად არსებობის მტრებს; ყოველთვის უფრო ემარჯვებოდათ ლაპარაკი საქართველოს ეკონომიურ სისტემის შესახებ. ვინემ დავა იმის უფლებების ნიადაგზე.

პროპაგანდა შინ და გარედ საქართველოს, და საზოგადოთ ამიერ-კავკასიის, ეკონომიურ უძღურების შესახებ ისე ძლიერი იყო, რომ ბევრმა გულწრფელ პატრიოტმაც ეს დაიჯერა და გულგატეხილი იყო. მართლაც, რას უშველის ერს უფლება თავისუფლად არსებობის, თუ იგი იძულებულია ხელგაშვერილი იდგეს და მოწყალებას თხოვლობდეს? «საქართველო რუსის გლეხის ხარჯზე ცხოვრობს». — გვეუბნებოდნენ ხოლმე.

ჩვენ ბევრჯერ გვითქვამს—და ფაქტებიც იმას მოწმობენ—რომ ეს სიმათლე არ იყო და რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ არსებობამ სამი წლის განმავლობაში სავსებით გააქარწყლა ასეთი შეხედულება. დამოუკიდებელ საქართველოს უჭირდა, მაგრამ ეს გასაქირი დროებითი იყო; არც ერთ სხვა ახლად აღორძინებულ სახელმწიფოზე უარესად მას იმ დროს არ უცხოვრია და მოწყალებისთვის ხელი არავისთვის გაუშვერია. მე არ მინდა ახლა კიდევ დაუბრუნდეთ ამის მტკიცებას.

ჩვენ სხვა გარემოება უფრო გვაფიქრებს ამ შემთხვევაში. სახელდობ: სანამდის განვითარდება ეკონომიური ცენტრალიზმი საბჭოთა კავშირში და რა ზომამდის ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიური ცხოვრება საბჭოთა კავშირის აღებმცემობის და მრეწველობის მაჩანაწალათ გადაიქცევა.

წინად, სანამ ჩვენში კერძო საკუთრება არსებობდა, კერძო მესაკუთრე სწყვეტდა უმთავრესად წარმოების და აღებმცემობის ბედს და ხასიათს და მისთვის სასურველ მიმართულებას აძლევდა იმათ. სახელმწიფო იმ დროს, თავის ფისკალურ ინტერესების გასატარებლათ, გარედან ეყოფა ეკონომიური საქმიანობაში—გადსახადებით, ბაჟებით, რკინის გზის ტარიფებით, კრედიტით: ზოგს შეღავათებს აძლევდა, ზოგს აბრკოლებდა. რუსეთის მთავრობას არ შეეძლო, მაგალითად, სავსებით თავის შეხედულებისამებრ და თავის სასარგებლოთ გამოეყენებია ბაქოს ნავთის მრეწველობა ან უკრაინის მარგანეცის საქმე. წარმოების ეს დარგები უმთავრესად ადგილობრივ და უცხოელ კერძო მესაკუთრეებს ეკუთვნოდა და ისინი წინააღმდეგობას გაუწევდნენ მთავრობის ყო-

ველგვარ განკარგულებას. მიმართულს მათი ინტერესების წინააღმდეგ: წარმოებას შეამცირებდენ, იმას სულ დახურავდენ, კაპიტალს სხვაგან და სხვა საქმეში ჩადებდენ. ყოველივე ამას ხელისუფლება ანგარიშს უწევდა და ეკონომიურ საქმიანობაში იმ ზომამდის ერეოდა, რომ ეს ჩარევა ეკონომიურ საქმიანობისთვის ასატანი ყოფილიყო. ასე, მაგალითად: აქციონი და სხვაგვარი გადასახადი ნავთის წარმოებაზე დაქოში უფრო დიდი იყო და უფრო მძიმეთ აწვა იგი ნავთის ღირებულებას, ვინემ დამუშავების ხარჯი; მაგრამ ნავთი ამ დიდ გადასახადს მინც უძლებდა და იგი ადვილათ იყიდებოდა. ცნობილია, რომ ჭიათურის მრეწველთა შუამდგომლობა ცენტრალურ მთავრობის წინაშე სატარიფო გადასახადების სულ მცირე რაოდენობით შემცირების შესახებ—რათა უცხოეთის ბაზარზე მას სხვა ქვეყნების მარგანეცისტის კონკურენცია უკეთესად გაეწია—უშედეგოთ რჩებოდა წლების განმავლობაში იმიტომ, რომ ეს კონკურენცია რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილების (ნიკოპოლი) მარგანეცსაც ავნებდა. ამით ჭიათურის მარგანეცი იზარებოდა, მაგრამ არ დაღუპულა. ტყვარჩელის ქვანახშირის (შავი ზღვის მახლობლათ, აფხაზეთში) მდიდარ მადნების საკონცესიოთ გაცემას ცენტრალური ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა (და არც თვითონ ამუშავებდა), რადგან ამის ექსპლოატაცია დიდ კონკურენციას გაუწევდა შავ ზღვაზე დონეცის აუზის ქვანახშირის მრეწველობას, რომლის კეთილდღეობაში დაინტერესებული იყვენ მთავრობაზედ გავლენის მქონე კაცები. მრავალ სხვა ასეთ მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა კავკასიის სახალხო მეურნეობის ისტორიიდან, მაგრამ ესეც საკმარისია. მთავრობის ასეთი პოლიტიკა ემსახურებოდა განაპირა ქვეყნების ეკონომიურათ დაძაბუნებას, მათი ხელოვნურათ დასაწყობებას—დაბეჩავებას, მათი წელში გატეხას. რათა ისინი მუდამ ცენტრზე დამოკიდებული დარჩენილიყვენ.

ბრძოლა ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ იმ დროს მინც შეიძლებოდა, რადგან მრეწველობა და ალემ-მიცემობა უმეტეს შემთხვევაში კერძო საკუთრებას წარმოადგენდა და კერძო მესაკუთრეთა მიერ ხმის ამოღება თავის ინტერესების დასაცავათ შესაძლებელი იყო; ხოლო მრეწველთა კერძო ინტერესები ასეთ შემთხვევაში ხშირად ეთანხმებოდა ხოლ მეადგილობრივი მოსახლეობის საზოგადო ინტერესებს. ცენტრალურ მთავრობის მიერ ადგილობრივი ინტერესების განუკითხავათ გადალახვამ საქართველოში შექმნა—თითქმის ყველა ახლად აღორძინებულ სახელმწიფოებთან შედარებით—განსაკუთრებული. პირობები ეროვნულ მეურნეობის განვითარებისთვის და ეს გარემოება უფრო თვალსაჩინო და საგრძნობი შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობის ხანაში. ეს ის იყო, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში გარედან მოსული ხალხი იჭერდა საქართველოს ეკონომი-

მიუღრმობაში განმკარგულ ელ როლს (ამას ხელს უწყობდა, სხვათა შორის, საზოგადოებრივ ხასიათის დაწესებულებაში, სახელმწიფო როლის მისაღებათ, ნივთიერ ცენზის საპირიოება, და სხვ.). ამის ბრალი თვითონ ჩვენც გვედება, რასაკვირველია: ჩვენი უმოქმედობის გამო.

ადმინისტრაციისა და ფისკის ორგანოებს თავი რომ გავანებოთ, ბანკები და კრედიტის საქმე საერთოდ, ბითუმით ვაპრობა, სატრანსპორტო საქმე, დამზღვევი საზოგადოებანი და ეკონომიურ საქმიანობის სხვა მრავალი არტერია საქართველოში უმთავრესად გარედან მოსული ხალხის ხელში იმყოფებოდა (მე ვამბობ სწორეთ «გარედან მოსულ» ხალხის და არა სხვა ეროვნების ადგილობრივ მკვიდრთა შესახებ). როცა რუსეთის იმპერია დაინგრა და საქართველო და მისმა მეზობლებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, გაურკვეველი იყო. როგორც იურიდიულათ, ისე ფაქტიურადაც: ეს ჩვენში ჩამოსახლებული მრეწველები, ვაჭრები, ბანკირები და საზოგადოთ, საქმის კაცები და არა ქართული დაწესებულებანი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ფესვები ძალიან მაგრათ გადგმული რომ ჰქონდათ, ერთგულათ შეუდგებოდენ ახლა დამოუკიდებელ საქართველოსთვის აღმშენებლობით მუშაობას. თუ თვალი გარედ ვჭირათ და გული სხვაგან მიუწევდათ? მათი «გაეროვნება» ანუ საქართველოს ეროვნულ საქმის სამსახურში ჩაყენება ადვილი საქმე არ იყო.

შეიძლება ჩვენ შემთხვევა გვექნეს ამ საინტერესო საკითხზე უფრო ვრცლად შევჩერდეთ და კონკრეტული მაგალითები მოვიყვანოთ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენში შექმნილ მდგომარეობის დასახასიათებლათ. ახლა აღვნიშნავთ ამ გარემოებას მხოლოდ იმისთვის, რათა მოვაგონოთ მკითხველს, თუ რამდენათ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, და არა მხოლოდ ადმინისტრაციაში (რომლის გაეროვნება შედარებით უფრო ადვილი საქმე იყო), ეს გაურკვეველი ელემენტები—და მათ შორის ხშირად საქართველოს დამოუკიდებლობის აშკარა მტრები—წინ გველობებოდენ, გზას გვიჭრიდენ, გვებრკოლებდენ, სანამ ჩვენი ეროვნული აპარატის ყოველ დარგში მოწყობა მოხერხდებოდა. სულ სხვა იყო კიდევ ტრადიცია, შექმნილი და ჩვენს საზოგადოებაში ჩანერგილი თვითმპყრობელ რუსეთის რეჟიმის მიერ ასი წლის განმავლობაში. ამნაირათ, ბევრი არაჩვეულებრივი და ხელოვნურათ შექმნილი დაბრკოლება წინ ელობებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ გაანვითარებას, მის ეროვნულ საფუძველზე განმტკიცებას, ძველათ. და ძველმა რუსეთმა მემკვიდრეობით დაუტოვა იგი მომავალს. ეს უმთავრესად იმიტომ ხდებოდა, რომ ადგილობრივ ხალხს არაფერი ეკითხებოდა, მისი ხმა არ სჩანდა, მთავრობა მხოლოდ ცენტრის თვალსაზრისით უტკეროდა მოვლენების განვითარებას განაპირა ქვეყნებში.

სულ სხვანაირი სოციალური პირობები არსებობს ახლა ჩვენში. ხოლო ეს პირობები, ეროვნულ თვალსაზრისით, გაუმჯობესების მაგიერ აუარესებენ წინათ არსებულ მდგომარეობას და მომავლის პერსპექტივებს. ჩვენში ახლა ეკონომიურ ცხოვრების ყველა დარგები გასახელმწიფებულია: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მრეწველობა, ტრანსპორტი, კრედიტი, მიწის გული, ზღვა და მდინარე. არც კერძო საკუთრება არსებობს, არც კერძო ინიციატივა. ისე, როგორც ინდივიდუალური თავისუფლება, მოისპო ეროვნული თავისუფლებაც და თაოსნობა; ყველაფრის ნამდვილი პატრონი და განმკარგულებელი სახელმწიფოა, მარტოდ-მარტო სახელმწიფო, და ისიც აღჭურვილი არა ეროვნულ რესპუბლიკების ფართო კომპეტენციით, არამედ გამომხატველი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ მმართველობის განუსაზღვრელ უფლებების. საკმარისია ამისთვის გავიხსენოთ არა მარტო თვითნებობა ცენტრალურ ორგანოების, არამედ «კავშირის» თვით კონსტიტუტია (მუხ. მე-14).

თვით ფაქტი კერძო საკუთრების არსებობის ხელს უწყობდა ძველათ სახალხო მეურნეობის დეცენტრალიზაციას უზარმაზარ იმპერიაში. თუ წინათ ადგილობრივი ინტერესების დაცვა და ბრძოლა გარეშე ელემენტების ამ ინტერესების სამსახურში ჩასაყენებლათ მაინც შეიძლებოდა—ყოველ შემთხვევაში კანონით ეს არ ყოფილა აკრძალული—ახლა ეს დაუშვებელია; დაუშვებელია იმიტომ, რომ ახლა თვითონ სახელმწიფოა ყოველგვარ უფლების მატარებელი, იგი სწყვეტს ყველა საკითხებს; ბრძოლა ადგილობრივი ინტერესების დასაცავათ ცენტრის განზრახვათა წინააღმდეგ, ახლანდელ პირობებში, მოასწავებს პოლიტიკურ ბრძოლას არსებულ წესწყობილების და ძირითად კანონების წინააღმდეგ; ეს «გენერალურ ხაზის» ღალატს ნიშნავს, ეს «გადახვევაა», ეს «უკლონიზმია», რომელსაც ბევრი კომუნისტიც კი შეეწირა. თუ განაპირა მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციაში და სკოლაში ასე თუ ისე, ფორმალურათ მაინც, ვითომ დაკულია ეროვნული თავისებურება, ეკონომიურ სფეროში ადგილობრივი ცხოვრება სავსებით გაერთფეროვნებულია, დამზავასებულია სხვა რესპუბლიკების ცხოვრებას და ყველა მათთან ერთად ცენტრზედ არის დამოკიდებული: როგორც კერძო ინტერესი, ისე ინტერესი ადგილობრივი საზოგადოების, ინტერესი ეროვნული, ეროვნული თავისებურება, სახელმწიფოს მოქმედებიდან ამორიცხულია. სახელმწიფოს მთავარი ბორბალი ცენტრში ტრიალებს და იგი ამოძრავებს მოკავშირე რესპუბლიკების ფირფიტებს მთელი 22 მილიონ კვადრატულ კილომეტრის სივრცეზე. ცენტრალური მანქანა რომ გაჩერდეს ან დაზიანდეს, მის მიერ ამოძრავებული ყველა

ფირფიტები ერთბაშით დაიშლებიან და გამოუსადეგრათ დაცვინდებიან. კიდევ უფრო მაშინ იგრძნობს ჩვენი ხალხი, რომ, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში ჩაის პლანტაციების და ციტრუსების ფართობების ზრდა განსაკუთრებულათ არა-ჩვეულებრივი ტემპით (ეს მაგალითი იმიტომ მომყავს, რომ სწორეთ ამით ამაყოფენ ბოლშევიკები) ხდებოდა და ხდება უმთავრესად საბჭოთა კავშირის და იმის ჩრდილოეთ ნაწილის ინტერესებისთვის (ჩაი და ლიმონი რუსეთის სუსხიან ჰავაში არ გაშენდება) და არა ქართველ მოსახლეობის უაღრეს სარგებლობისთვის. ამ უკანასკნელისთვის გაცილებით სჯობდა ასეთი დიდი ყურადღება მიწათ-მოქმედებას და მესაქონლეობას—ყოველ პირობებში ჩვენი ქვეყნის დიდი ღირებულების მეურნეობის დარგს—მიქცეოდა; მაგრამ მიწათ-მოქმედებას და მესაქონლეობას საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებშიც კარგი ნიადაგი მოეპოება, და იმიტომ ჩვენი ქვეყანა იმისთვის დიდ ინტერესს არ წარმოადგენს.

ასეთივე მდგომარეობა მყარდება მრეწველობაში და ალბ-მიცემობაში. ამ სფეროშიც ჩვენში ყველაფერი კეთდება. როგორც ნაწილი და დამატება უდიდეს იმპერიის ეკონომიურ მოთხოვნილებათა. ასე იყო ძველათ კოლონიებშიც. და აი ამ დანიშნულების მისაღწევათ, გარედან მოყავთ და საქართველოში ასახლებენ, არა მარტო ტექნიკოსებს და ადმინისტრაციულ პერსონალს, არამედ მუშა ხალხსაც.

განმეორდება ის, რაც მოხდა 1918 წელს. 1918 წელს, რუსეთის თვითმპყრობელობა რომ წაივდა საქართველოდან, მან დაუჯოვა პატარა საქართველოს ხაზინას სალიკვიდაციოთ არა მხოლოდ ნახევარ მილიონი გამოღმევიკებულ რუსის ჯარი. არამედ უსაქმოდ დარჩენილი აუარებელი რუსის ჩინოვნიკობა, კავკასიის სანამესტნიკოს რომ ემსახურებოდა. ამ ლიკვიდაციამ, ამ სრულიად არა-ჩვეულებრივ ხარჯების გაწევამ, ჩასცა პირველი ლახვარი ჩვენს ფინანსებს. მე არ ვიცი. რამდენი რუსის ჯარის ლიკვიდაცია დასჭირდება საქართველოს, როცა საბჭოთა კავშირი დაიშლება; მაგრამ ასეთათსაობით რომ დასჭირდება ლიკვიდაცია ჩვენში დღეს კარგად და თითქმის სამუდამოდ მოკალათებულ, საქმისთვის უკვე ზედმეტის და გამოუდევარ ჩინოვნიკობის, ტექნიკოსების, მუშების და სხვების, ეს უუქველია.

ახლა რუსეთისთვის გამოსადეგი, ჩვენში არსებული ქარხნები და მათი ფილიალები ბევრი დაიხურება ან შემოკლდება, ცენტრალურ ადმინისტრაციის ბიუროები და აგენტები უსაქმოდ დარჩება. ბანკების განყოფილებები გაქრება, ალბ-მიცემობა, ცენტრის ბორბალზე მომუშავე. შეჩერდება. იმიტომ, რომ ყოველივე ეს დღეს მოწყობილია დიდი იმპერიის განზრახვებისთვის, კეთდება ცენტრალურ ადმინისტრაციის გვემით და უმთავრესად გარედან მოსულ ხალხის საშვალეობით. არც ფართო ადგილობრივი თვითმართველობა, შეჩვე-

ული დამოუკიდებლათ მოქმედებას, და არც კერძო სექტორი სახალხო მეურნეობის, საბჭოთა კავშირში არ არსებობს. მოკავშირე რესპუბლიკების საკუთარი აპარატი ეკონომიურ საქმიანობისთვის დღეს ისე დაბეჩავებულია, ისე აგდებულია ცენტრალურ მმართველობის მიერ, რომ თითქოს განზრახ ცენტრის მოშლასთან ერთად ყველა ცალკე რესპუბლიკები უშწეო მდგომარეობაში უნდა ჩავარდნენ: მდგომარეობა ყოველგან აიწეება, იგი ყოველგან მძიმე შეიქმნება. ეს ალბათ გათვალისწინებული აქვთ კრემლის დღევანდელ ბატონებს და, შეიძლება, ამას ანგარიშში იღებენ რუსის ზოგი «პატრიოტებიც», როცა საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკებს ერთნაირათ უწინასწარმეტყველებენ: «ურუსეთით ცხოვრება არ შეგიძლიათ»-ო...

* * *

მე ვსწერდი ერთხელ და კადნიერებათ ნუ ჩამომერთმევა, თუ ერთხელ კიდევ განვიმეორებ:

«რამდენათ არსებული რეჟიმი გაგრძელდება საბჭოთა «კავშირში, იმდენათ ეკონომიური ცენტრალიზაცია იქ უფრო და უფრო ფესვებს გაიმაგრებს ადგილობრივი რესპუბლიკების ხარჯზე და უკანასკნელთ უფრო და უფრო დაიძორჩილებს. ეროვნული რესპუბლიკები თანდათან დაკარგავენ საკუთარ ეკონომიურ ცხოვრების ბაზას, «შემოქმედების უნარს და ჩვეულებას თავის საკუთარ ეკონომიურ პოლიტიკის წარმოებისთვის» (იხ. «მებრძოლი საქართველო» № 4, გვ. 21).

აი ეს არის საშიშარი ჩვენი ქვეყნისთვის და იმის ეკონომიურ განვითარებისთვის მომავალში. ის გარემოება, რომ ჩვენში დღეს გაბატონებულ საადმინისტრაციო და სამეურნეო სისტემის გამო, აუარებელი ჩინოვნიკობა და მუშა შემოდის გარედან და ჩვენში ესახლება—მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უკვე დიდი ხანია უფრო მკიდროთ არის დასახლებული, ვინემ საბჭოთა კავშირი საერთოდ და ამიერკავკასიის რესპუბლიკები კერძოთ—შემთხვევითი მოვლენა არ არის და არც აუცილებლობით გამოწვეული გარემოება. ეს მოფიქრებული პოლიტიკაა. სახელდობ, მეორდება რუსეთის მიერ ძველათ წარმოებული განაპირა ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრების ხელოვნურათ შევიწროება, დამცირება და დაბეჩავება, სხვათა შორის, უცხო ხალხის გადმოსახლებით. ამ პოლიტიკას ძველათ სარგებლობა არც გადმოსახლებულ რუსის გლეხისთვის მოუტანია და არც ადგილობრივ მოსახლეობისთვის. ბევრს ემახსოვრება, ალბათ, რომ მულანის

ველზე, ჩვენს მახლობლათ (აზერბაიჯანში), მაგალითად, რუსის მთავრობა რუსეთიდან მოყვანილ ხალხს ასახლებდა. დანიშნულება ამის იყო, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური: ერთის მხრით, რუსის მთავრობას სურდა ამ განაპირა ქვეყანაში «უფრო საიმედო» ელემენტები ჩაესახლებია, ვინემ მიაჩნდა აზერბაიჯანელები; მეორე მხრით, მას უნდოდა ამ შიშველ და ციებიან ადგილებში გადმოყვანილ ხალხის საშვალელებით ბამბის მეურნეობა განვეითარებია. შედეგი ის იყო, რომ შორეულ ჩრდილოეთიდან აქ გადმოსახლებული ეს უბედური ხალხი—კოლონისტები—მალარიით იხოცებოდა, თუმცა ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მათი პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩაყენება თავის ქვეყანაში, თავის მიწა-წყალზე კი შურს და სიძულვილს იწვევდა მათდამი ადგილობრივ მოსახლეობაში; ამ შურისძიებამ, 1917 წელს რევოლუციის დასაწყისშივე, იფეთქა სრულიად უდანაშაულო კოლონისტების მიმართ, შეუგნებელ და გალატაკებულ ადგილობრივ მოსახლეობაში, და კოლონისტების დარბევით გათავდა იგი...

რამდენათ უფრო დიდხანს გასტანს საბჭოთა ხელისუფლება, იმდენათ უფრო მეტი ჯაფა დასჭირდება ჩვენს ხალხს მომავალში ხელოვნურათ შექმნილ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ. ამას გრძნობს ქართველი ერი და ამისთვის იბრძვის იგი თავისუფლებისთვის. თავისუფლება თვით არის წყარო და დასაბამი ერის კეთილდღეობის. შეუძლებელია, თავისუფალ და მშვიდობიან პირობებში ერი არ განვითარდეს. თუ ამაში იჭვი შეგვეპარება, დაეხედოთ რუქას: ის ქვეყნები—პატარები ისე, როგორც დიდები—იქ არიან ადმინისტრაციულათ უკეთესად მოწყობილი და ეკონომიურათ უკეთესად უზრუნველყოფილი, სადაც პოლიტიკური თავისუფლება დიდი ხანია არსებობს. ეს უმთავრესად დასავლეთ ევროპის ქვეყნებია. აქ ცალკე ერი კაი ხანია ცალკე სახელმწიფოს წარმოადგენს. ჩვენს ხალხს მუდამ დასავლეთ ევროპისკენ ეჭირა თვალი: პოლიტიკურ და ეროვნულ თავისუფლების გზით სოციალურ სამართლიანობისკენ. ეს იყო მისი გზა წარსულში და ეს იქნება მისი გზა მომავალში.

ბ. პ.

ოქტომბერი, 1953 წ.

ევროპის მდგომარეობა.

დღევანდელ ევროპის მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის გარკვევა შეუძლებელია წარსულის გაცნობის გარეშე. მე-19 საუკუნის მანძილზე ხდება ევროპის ტენიკის და კაპიტალის უარესი განვითარება, — რის შედეგია კოლონიების და ინდუსტრიულურად ჩამორჩენილ ქვეყნების ბაზრების სრული დაპყრობა, რადგან ამ ქვეყნებს არ ძალუძთ პირველ მოთხოვნილების საგნებითაც კი საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამავ დროს ამერიკას გააქვს გარეთ უმნიშვნელო რაოდენობის საქონელი, ისიც გადაუმუშავებელი (როგორც არის ბამბა, ნავთის პროდუქცია და სხ.) მამასადამე ევროპა ხდება მსოფლიო ბაზრების ბატონ-პატრონი. ევროპის ქვეყნები ყიდულობენ გარეთ ნედლ მასალას მცირე ფასებში და გააქვთ დამზადებული ნაწარმოები მომეტებულ ფასებში. 1914—1918 წლის ომამდის შექმნილს ევროპის პრივილეგიურ მდგომარეობას ამ ომმა ძლიერი ლახვარი ჩასცა. შიგნით დაშლილი ევროპა შეუდგა თავის ნივთიერ წყაროების მობილიზაციას, მაგრამ გუშინდელი მუსტრები მაინც იძულებული გახდნენ სხვა ქვეყნებისკენ ებრუნათ პირი და იქ ეძებნათ თავიანთ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ასეთი იყო შეერთებული შტატები და იაპონია, უმთავრესათ პირველი.

არც ზავის შემდეგ დაუბრუნდა ევროპას ის უპირატესობა, რაც მას ომის წინ გააჩნდა; ჩამორჩენილ ქვეყნებში დაწყებული ტენიკური განვითარება ნორმალური გზით წავიდა და მათ იწყეს ევროპიდან ჩამოშორება, ხოლო შეერთებულ შტატების მრეწველობაც გიგანტიური ნაბიჯით გაიზარდა. ეხლა ის სამრეწველო დარგების უმთავრესი წარმომადგენელი გახდა. ასე რომ, თუ მე 19 საუკუნეში ევროპა წინ უსწრებდა შეერთებულ შტატებს, ეხლა ამ უკანასკნელმა დაიკავა მისი ადგილი. ევროპის ეკონომიური წონასწორობა დაირღვა *).

მეორე დიდმა ომმა კრიზისი კიდევ უფრო გაამწვავა და ევროპა კატასტროფის წინაშე დააყენა. ტენიკური და ინდუსტრიულური განვითარება მსოფლიოში ევროპის სახარალოთ ხდება, რადგან მას ჩასჟიდეს ხელი ჩამორჩენილმა ქვეყნებმა, იმათ დაიწყეს არა თუ შინაური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ ბევრს შემთხვევაში ზოგიერთ საქონ-

*) იხ. Al. Demegeon. Le declin de L' Europe 1920. 2) André Siegrffrid. La crise de L' Enrope.

ლის გარეთ გატანაც. მაგ., ბრაზილიამ შექმნა რკინა-ფოლადის დიდი წარმოება, კანადამ გაათქვია საავტომობილო წარმოება, ინდოეთმა განავითარა მძიმე ინდუსტრია. მათ მიჰყვები სხვა ქვეყნებიც. ... ომის დროს თვით ევროპის მეომარ სახემწიფოთა თხოვნით ხდება შინაური მოთხოვნილების და საომარ იარაღის დამზადება არა ევროპის ქვეყნებში. ასე, ინგლისმა თვითონ შეუწყო ხელი ინდოეთში სამრეწველო დარგების გამავრებას, რათა, სხვათა შორის, დაემზადებია საომარი საშვალეებიანი იაპონიის წინააღმდეგ. ამ მხრივ ევროპა მისდაუნებურათ თვითონ ხელს უწყობდა თავის წინანდელ ბაზრების დაკარგვას. ყველაზე უფრო შექმნილი ვითარება გამოიყენა შეერთებულმა შტატებმა, რომლის მრეწველობა გაიზარდა 1937—1940 წლამდე 100 პროცენტადან 200 პროცენტამდე. ამავე დროს სპეციალისტების ჩვენებით ევროპიდან საქონლის გატანა საგრძნობლად შემცირდა, ხოლო შემოტანა გაიზარდა. ასე რომ ევროპის ექსპორტი შეიცავს მხოლოდ 4/5—ომის წინა წლებთან შედარებით, კომერციული დეფიციტი აღემატება 50 პროცენტს *).

1950 წლიდან იწყება ევროპის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება ამერიკის დახმარებით; მაგრამ თვით ევროპის ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარების გაოქმე. შეუძლებელი ხდება მისი სრული გაჯანსაღება. ევროპას უძნელდება საკუთარ ფაბრიკა-ქარხნების სათბობ მასალით დაკმაყოფილება და მით საკმაო სასურსათო საგნების დამზადება მცხოვრებთა გამოსაკვებათ. 1947 წლის დამლევადან ევროპას აღარ შეეძლო საკუთარი საშვალეებით მრეწველობის ფეხზე დაყენება და რომ, მას შეეჩერებია საჭირო პროდუქციის შექმნა შეერთებულ შტატებში, მას მოელოდა დამშევა, ქაოსი, მწვავე სოციალური კონფლიქტები და სამოქალაქო ომისკენ დაქანება.

ამ მდგომარეობამ წარმოშვა ე. წ. მარშალის გეგმა. თვით გენ. მარშალი გამოდის სათანადო განცხადებით: «ჩვენი გეგმა არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული, არამედ სიმშობის, ქაოსის წინააღმდეგ. მისი მიზანია ნორმალურ ეკონომიურ ურთიერთობის დამყარება თავისუფალ ქვეყნებს შორის, სოციალურ პროგრესისთვის ხელის შეწყობა. მეორე მხრივ ტრუმანი აცხადებდა: «ძველი ქვეყანა მოიქანცა, მისი ცივილიზაცია განსაცდელშია, მისი ხალხები განიცდიან ტანჯვას, ის, ვინც ძლიერია ნივთიერად, უნდა დაეხმაროს სუსტს და ფეხზე წამოაყენოს ისინი...»

ამერიკის დახმარება დიდის კმაყოფილებით იქნა მიღებული ევროპაში. მას გაემიჯნა მხოლოდ საბჭოთა რუსეთი, აუკრძალა «სატელიტებს» დახმარების მიღება. მოსკოვის ანგარიშში სრულებით არ შედიოდა ევროპის მოსულეობა,

*) იხ. Ed. Bonnetous—L' Europe en Face de son destin.

მისი ფეხზე წამოდგომა, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება. მას სურდა ცხადია და დღესაც სურს ევროპა დაძაბუნებული. მიწაზე განართხილი, რომ ადვილად შესძლოს საკუთარ გეგმათა განხორციელება, საკუთარ გავლენის გაძლიერება... მას შემდეგ რაც მარშალის გეგმის შემწეობით ევროპის ფაბრიკა-ქარხნები ამუშავდა, პირველ მოხმარების საგნების ფასები კლებულობს მაგ. ბელგიაში სიძვირე შემცირდა 19 პროცენტით, ინგლისში 17 პროც., საფრანგეთში 6 პროც., იტალიაში 4 პროცენტით... ევროპის კომერციული ბალანსი იწყებს გაუმჯობესებას. მცირდება გარედან შემოტანა. მიუხედავად ამისა ევროპა კიდევ ყიდულობს შეერთებულ შტატებიდან 1949 წლის განმავლობაში 4.296 მილიონ დოლარის საქონელს, ხოლო გააქვს გასასყიდად მხოლოდ 79 მილიონ დოლარის. ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ ევროპა ჯერ შორს არის ეკონომიურ წონასწორობის მიღწევას. მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ თვით ევროპის ქვეყნების ეკონომიურ თანამშრომლობის სიძნელეშიც. ევროპის ეკონომიური საბჭოს დაარსებით დაიწყო თითქოს გზის ძიება ურთიერთ თანამშრომლობის შესაქმნელად, მაგრამ ჯერ-ჯერობით მის მუშაობას დიდი ნაყოფი არ გამოუღია, ვერც ცალკე რაიონული ეკონომიური ხელშეკრულება შვედის საქმეს. ასეთია ბელგია-პოლანდია-ლუქსენბურგის და საფრანგეთ-იტალიის ეკონომიური თანამშრომლობა, მაგრამ თითველ ამ ქვეყნებში ცხოვრების დონე ისეთ სხვადასხვაობას წარმოადგენს და ამავე დროს ურთიერთ კონკურენციის შენელება ისეთი ძნელი ხდება, რომ პრაქტიკული შედეგები ამ თანამშრომლობას დიდი ჯერ არ გამოუღია. არც სკანდინავიის ქვეყნების ცდას მოუტანია ამ მხრივ ნაყოფი, მათ მიერ მოწვეული კონფერენცია უმედეგოდ დაიშალა. როგორც ვხედავთ საგრძობ გაუმჯობესებამ ევროპა ფეხზე ვერ დააყენა, წელში ვერ გამართა. ამის მიზეზი სხვათა შორის არის კორეისა და ინდოჩინეთის ომი. ევროპის ქვეყნებს არ ძალუძთ აწარმოვონ აღმშენებლობითი მუშაობა. უზრუნველყონ ცხოვრების ნორმალური დონე და ამავე დროს აწარმოვონ შეიარაღება. საგარეო თავდასხმის საშიშროება მათ თავზე დასტრიალებს. მდგომარეობა მოითხოვს ეკონომიურ მთლიანობას, პოლიტიკურ და სამხედრო თავდაცვის მოწყობას. ერთ მთლიან ევროპის გაქედას, ამისთვის ევროპის გაერთიანების იდეა ხდება აქტუალური...

პ. ხარ—ძე.

ვ ი ძ ტ ო რ ზ ი უ ზ ო ლ.

(დასასრული. იხ. «ჩვენი დრო» № 15)

ვიქტორ ჰიუგოს ქვეყანა ჰქონდა წარმოდგენილი გარი-
თმულ, გალექსილ სიტყვის სახით. რაც მან ქნა ლექსისათვის,
იგივე ქნა მან ენისათვის, სიტყვისათვის. ლექსში ჰიუგომ ჩა-
მოაყალიბა თანამედროვე ფრანგული ენა. როგორც დანტე
იტალიაში, როგორც რონსარი მე-16—17 საუკუნისათვის სა-
ფრანგეთში, ისე ჰიუგო ასხამს ფრანგული ლექსების ენას მე-
19 და მე-20 საუკუნისათვის. ჰიუგომდის ლექს სწერენ კლასი-
კურს, მის შემდეგ კი არსებობს ენა მოდერნული. შეიძლება
ასევე შევნიშნათ პროზის შესახებაც. თუმცა მართალია, აქ
მის წინეთ არსებობდნენ რუსსო, მაღამ დე სტალ და შატო-
ბრიანი, ისე როგორც ლექსის ფორმისათვის მას ყავდა წინა-
მორბედათ შენიე, მაგრამ მხოლოდ მან და მარტო მან—მისი
აუარებელი ნაწარმოებით—როგორც ლექსით, ისე პროზით—
მოიყვანა სისრულეში ის, რასაც სხვები ამზადებდნენ.

აღვსაყვი, ვინც სწერს, მისი მოვალეა, მისგან მომდინა-
რეობს; როგორც პოეზიაში, ისე პროზაში, მისი მოვალენი
არიან პირდაპირ, თუ არაპირდაპირ, ისინიც კი, რომელნიც
მასსავით რომ არ აზროვნებენ, კიდევ მეტი, მის წინააღმდე-
გაც რომ სწერენ, ესენი არიან დღეს ცნობილნი პიფოგორესი
პოლ კლოდელი (პოეტო-დიპლომატი), ლუი ბერტრნი (აკადე-
მიკოსი) და მონარქისტი განსვენებული ლ. დოდე.

აი რას სწერს რემი დე გურმანტი ვ. ჰიუგოზე: «ჰიუგო
არის განმანახლებელი მდიდარი რითმის, მისი ლექსები ეყრ-
დნობიან რითმზე, ის არის ნამდვილი ვირტუოზი. არავის
და არასოდეს მანამდის არ ჰქონია ისეთი ნიჭი რითმის, ამ ხე-
ლოვნების, რომლის საშუალებით ორი სიტყვა ძლიერ დაშო-
რებული ერთი მეორესგან აზრით, ძლიერ დაახლოებული
ხმოვანებით, ეხეთქება ერთი მეორეს და იძლევა საუცხოვო
მუსიკის გარდა რაღაც მისტერიულს და აზროვნების ილიუ-
ზიას»...

დიახ, ჰიუგო არის ღვთაება, სიტყვის იუპიტერი!

ვ. ჰიუგო ყველა სხვა მოსწონებზე უფრო სახელგანთქმუ-
ლია; ის არის ზედმიწევნით პოპულარული პირადად. მის
პიესებმა და რომანებმა შეარყიეს საზოგადოების ის გუ-
ლის სიღრმე, სადაც თითქმის ვერ აღწევდა ვერავითარი პოე-
ზია. რომელ ფრანგს (და ხშირათ უცხოელსაც) არ უნახავს
სცენაზე Hernani ან Ruy Blas? ვის არ წაუკითხავს და განსა-
კუთრებით ვის არ უნახავს Misirables სინემის ეკრანზე? ამ ჟა-
მათაც კი საფრანგეთში ის აქტუალურია. დარბაზები გაქედი-

ლია ხალხით, რომელიც აღფრთოვანებაში მოდის ჰიუგოს რომანით. მის მიერ შექმნილი უკვედავი ტიპები: მარიუსი, კოზეტი, გავროში და ჟან ვალ ჟანი ცნობილია ამ ხალხის მიერ. მკოსნის ძეგლებით მოაფენილია ქვეყანა; საფრანგეთის ყველა ქალაქებში და დაბებში—რაც უნდა პატარა იყოს ის—თქვენ აუცილებლათ შეხვდებით ვ. ჰიუგოს ქუჩას, მოედანს, ბულვარს ან სკოლას და მისი სახელი ცნობილია უკანასკნელი გლეხის მიერ უფრო მეტად, ვინემ ტიერის, გამბეტას ან პასტერის. დიხაც, ჰიუგო პოპულიარულია და ეს არც არის გასაკვირალი, ვინაიდან მას ესმოდა ხალხის, ხალხს ესმოდა მისი და მან შეიყვარა იგი!

ვ. ჰიუგოს ცხოვრება—განსაკუთრებით ლიტერატურული ცხოვრება—იყო ფრიად შინაარსიანი. ეს ცხოვრება მუდმივი და სრული გამარჯვება იყო პოეტისათვის. ის ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული (მან იხილა სინათლე ბეზანსონში 1802 წელს). მას ამ მხრით შეედრება მხოლოდ გერმანელი გენიოსი ვიოთე, რომლის სიცოცხლეს ისევე ხანგრძლივი და შესანიშნავი იყო, მარა უფრო წყნარი, სადა და ნაკლებათ მრავალფეროვანი და ესთეტიურათ ნაკლები ღირსების. ბედი სწყალობდა დიდ პოეტს, თუმცა მან მწარე მომენტებიც განიცადა*).

უკვე ცნობილი 18 წლის ახალგაზდა, შესანიშნავი 20 წლისას. ჰიუგო უკვე გამოჩენილი და სახელგანთქმული იყო, როცა მას 35 წელი შეუსრულდა. ჩვეული დიდ რეპუტაციას, მის ირგვლივ თავს იყრიდა აღფრთოვანებული ახალგაზდობა. ვაჟი თუ ქალი; პატივცემული თანამომძებნის მიერ, პოეტს თავყვანს სცემდნენ მკოდნენი და თვით უბრალო ხალხიც... დაჯილდოებული ლუი მე 18 და შარლ მეათეს დროს. აგრეთვე ლუი ფილიპეს მიერ, ის ცხოვრობდა როგორც პრინცი 45 წლამდის. და აი სწორეთ მაშინ, როცა მას შეეძლო ეგრძნო ტკბილი და უზრუნველი ცხოვრება, ის შეიქნა—ნაპოლეონ მესამეს გამეფების გამო—ლტოლვილი. ემიგრანტობაში მისი სახელი კიდევ უფრო იზრდება და 20 წლის შემდეგ ის ბრუნდება სამშობლოში, როგორც გმირი. როგორც შეუდრეკელი შორსმჭვრეტელი, რომლის ტრადიკული წინასწარმეტყველება არაერთჯერ სრულდება ხოლმე. მისი სიკვდილი (1885 წ.) აპოთეოზია. არავის არ ღირსებია ისეთი დასაფლავება, როგორც ჰიუგოს**)—ეს იყო უზუნაესი ტრიომფი; მთელი ერი ზეიმობდა გენიოსს. მას წილად ხვდა რამოდენიმე საათი გა-

* დიდი მოყვარული ოჯახის შვილების და მეგობრების, ის—მათ დაკარგვაზე ცხარე ცრემლებს ღვრიდა და სწუხდა—რაც გამოსჭვივის მის შეუდარებელ ლექსებიდან. ა. ე.

** მან დაიბარა: გამასვენეთ და დამმარხეთ, როგორც მარხავენ ღარიბ ადამიანსო.

ნესვენა იქ, სადაც არც მანამდის, არც შემდეგ არ ღირსება დასვენება, თუ არა საფრანგეთის უცნობ ჯარისკაცს—Arc de Triomphe ში. ამ ქაშათ კი—როგორც უკვე აღვნიშნეთ—დიდი ნეშთის მუდმივი საბინადრო არის პანთეონი.

როგორ უცქერის ჰიუგო ხელოვნებას? აი, მისი შეხედულება ამ საგანზე. დრამების შესახებ თვითონ ამბობდა თავის პიესის გამო: «ამ დრამის ავტორმა კარგათ იცის, თუ რა დიდი და სერიოზულია თეატრი. მან უწყის, რომ დრამას აქვს—ხელოვნების მიუდგომლობის ფარგლებში დარჩენილს—მისია სოციალური. ეროვნული და კაცობრიული»; ხელოვნებამ არ უნდა ეძიოს მარტო მშვენიერება, არამედ სიკეთე, სარგებელი ანობა. ის არ ფიქრობს, რომ ხელოვნება პოლიტიკურ ჭეშმარიტებას უნდა ემსახურებოდეს. ხელოვნებისათვის საკმაოა, რომ მან დაასურათოს ძალდაუტანებლათ და რეალურათ ჭეშმარიტება, ცხოვრება, ადამიანის ტიპები და ადამიანური გრძნობები. ეს საკმარისია, რომ მკითხველმა ხალხმა გაიკვლიოს თავის გზა და იხილოს სიმართლე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი თეორია ყოველთვის ვერ ნახულობს გამართლებას მის პრაქტიკაში, სადაც ხშირათ გარკვეულ ტენდენციას აქვს ადგილი და რაც ჩვენის აზრით სხვანაირათ შეუძლებელიც არის, როცა მწერალი პოეტი არის ცოცხალი არსება და მისი დროის საზოგადოების «მომკვდის» წევრი და შვილი. «საჰიროა—ამბობს ის—რომ ხელოვნება იყოს თვით მიზანი, რომელიც გააცნობიერებს ადამიანს, შემატებს მას მორალს, მოგვრის ცივილიზაციას... რაც უფრო ის იქნება მიუდგომელი და მდაბალი, რაც უფრო ის გვერდს აუვრის წარმავალ ყოველ დღიურ პოლიტიკურ საკითხებს, მით უფრო ის შეეწყობა ყოველივე დროისა თუ ადგილის ადამიანს, მით უფრო მას ექნება მომავლის ფორმა» და სხვ. «ნუ იქნებით ნურც ოპოზიციის, ნურც ხელისუფლების. იყავით საზოგადოების, როგორც მოლიერი, და კაცობრიობის, როგორც შექსპირი» ამბობს კიდევ მგოსანი (იქვე). ხელოვნება და თეატრი უნდა იყოს პოპულიარული, ხალხური. ხელოვანმა არ უნდა დაივიწყოს იდეალი, როცა ის მასსას მიმართავს ხოლმე. მასსას აქვს იდეალის ინსტიქტი და სხვა.

ჰიუგოს პოეზიაში, პროზაში, თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებში ნათლათ გამოსჭვივის მისი მაღალი გრძნობები, ადამიანობა. ჰიუგო დიდი პატრიოტი, მარა პატრიოტი საღი *).

*) გაკეთებით უყვარს მას სამშობლო. ყველას წაუკითხავს მისი ლექსი: «France, France, sans toi le monde serait seul», მარა როცა ნაპოლეონი აცხადებს ამნისტიას, ის უარს ამბობს დაბრუნებაზე, სანამ იქ არის ტირანი. მე დავბრუნდები, როცა თავისუფლება დაბრუნდება, სწერს ის. ამაზე აქვს მას ლექსიც: «ერთიც რომ დარჩეს ლტოლვილი, ეს ერთი მე ვიქნები»-ა.

არის მშვიდობიანობის მოციქული, სძაგს ომი და ქადაგებს ხალხთა შორის სათნოებას, თანხმობას და თანამშრომლობას; მომხრეა განიარაღების. მისი იდეალი არ არის მხოლოდ ეროვნული, არამედ კაცობრიული. ის ქადაგებს ევროპის შეერთებულ შტატებს. მოსარჩლეა ყველა ჩაგრულის, ადამიანის თუ ერის. თვით ლტოლვილი, დევნილი ექომაგება ყველა დევნილს. იცავს ამ უკანასკნელის უფლებებს ყოველ დესპოტიზმის წინააღმდეგ^{*)}.

პიუგო თანაუგრძნობს უნგრეთს, იცავს პოლონეთს რუსისაგან, საბერძნეთსა და კრეტის კუნძულს ოსმალთაგან, ათამამებს გარიბალდს, იტალიისათვის რომ იბრძვის, იცავს ირლანდიის უფლებებს ინგლისის წინააღმდეგ.

მას ეჯაგრება და ებრძვის ყველა დესპოტებს, რომელნიც იმ დროს საკმაოდ არსებობდნენ.—რას ფიქრობს რუსეთზე? «ამ ხანათ ნამდვილი დესპოტიზმის თავია რუსეთის მეფე ნიკოლოზი (პირველი), ლუი ბონაპარტი კი მხოლოდ ნიღაბი . . . დიღემა ასეთია: ევროპა რესპუბლიკანური ან ევროპა კოზაკების . . . რუსეთს სურს დაახლოს ყოველგვარი ცივილიზაცია ერთის დაკვრით, დემოკრატიის დამსობით; ის ამამბობს: «მე მყავს ერთი მტერი: ადამიანის სული და აზროვნება»... ოსმალეთის შემდეგ საბერძნეთი დარჩა ცოცხალი, ევროპა კი რუსეთის შემდეგ ვერ გადარჩება»-ო (ასე გგონიათ ესლა სწერსო!)

დიდი პოეტი ეტრფის რა თავისუფლებას, შველის და თანაუგრძნობს სუსტს, უყვარს შეგობარი, სამშობლო, კაცობრიობა. ასეთი პუმანიური თვისებები გამომდინარეობს მისი კეთილი გულის სიღრმიდან, ეს არის მისი ბუნების გრძობები და არ აიხსნება მარტო მით, რომ ის იყო მატარებელი დემოკრატიული და სოციალისტური იდეების.

ზედმიწევნით უყვარს მას მეცნიერება, წინსვლა ყოველივე—პროგრესი. მან იცის რომ ტექნიკა ძლიერ განვითარდება, ჰაეროპლანები ცას დასერავენ. მას არ უნდა, რომ ეს გამარჯვება ადამიანმა ერთმანეთის გასაუღლეთ გამოიყენოს. ჯერ კიდევ მის ახალგაზდობის ნაწერებში, ის ითვალისწინებს ხალხის განვითარებას; მას უკვე წარმოდგენილი აქვს მომავალი ერთა ლიგა და O.N.U.

იქნება ერთი დიდი ნაცია «რომლის მთავარი ქალაქი იქ-

^{*)} თუმცა მას ეძაგება ნაპოლეონი—ის მიუხედავად ამისა ამბობს: «როცა ნაპოლეონ მცირე ერთ დღეს იძულებული შეიქნება გაიქცეს და თავის მხრით ოდესმე დევნილი ჩემს კარებს რომ მოაკაკუნოს, მზათ ვიქნები მას მე მფარველობა გავუწიო და ვფიცავ ერთი თმაც არ ჩამოუვარდება მას თავიდან!» ასე კეთილბუნოვანი და გულუხვია დიდი ლტოლვილი. ცნობილია, აგრეთვე რომ პოეტი სასტიკათ ებრძოდა სიკვდილით დასჯის კანონს.

ნება პარიზი, მარა ეს არ იქნება საფრანგეთი, მისი სახელი იქნება: ევროპა. ასე დაერქმევა მას მეოცე საუკუნეში და შემდეგ საუკუნეებში კი ის კიდევ უფრო გადასხვაფერდება და დაერქმევა მას: კაცობრიობა»^{*)}.

* * *

ვ. ჰიუგომ რამდენჯერმე შეიცვალა პოლიტიკური შეხედულება. სანამ ის გახდებოდა ვაკაუებული რესპუბლიკანელი. მარა ეს ცვლილება სრულიად თავისუფალი და უმწიკვლო იყო და არასოდეს პირად ინტერესებს ან ეინიანობას ადგილი არ ქონია. თვით ჰიუგო იტყოდა ხოლმე: «გებრი^{**)} მუხლს იდრეკს მზის წინაშე. პოეტუ კი მხოლოდ ქეშმარიტების წინაშე» ო. ის ამბობს ერთ ადგილას: «როცა ადამიანზე ამბობენ, რომ მას არ შეუცვლია თავისი აზრი 40 წლ ის განმავლობაში—ეს არის მისი შეგინება. ეს ნიშნავს, რომ ამ კაცისთვის არ არსებულა არც ყოველდღიური გამოცდილება, არც დაფიქრება და სხვა. ეს ნიშნავს ქება შეასხა წყალს იმიტომ, რომ ის არ მოძრაობს და ეს იმისთვის, რომ ის მკვდარია... ყოველივე ცვლებადია აზროვნებაში; არა არის რა აბსოლიუტური პოლიტიკაში გარდა შინაგანი მორალისა, მარა მორალი სინიდისის საქმეა და არა აზრის. მაშ ადამიანმა აზრი შეიძლება შეიცვალოს, მარა პატიოსნურათ. და მორალი უნდა დარჩეს. პროგრესიული თუ რეტროგადული მოძრაობა არის არსებითად ცხოველი, ადამიანური, სოციალური. სასირცხვილო ის არის, შეხედულება რომ იცვალა პირად ინტერესებისთვის».

ახალგაზრდობაში ჰიუგომ განიცადა ბონაპარტიტობა, შემდეგ ის როიალისტი-კათოლიკე იყო. მარა უკვე 28 წლის ჭაბუკი მარცხნივ იხრება და დაბოლოს რესპუბლიკანიზმს ემხრობა გატაცებით და უკვე როგორც მებრძოლი და—როგორც ის ამბობს—რევოლუციონერი. 1830 წელში ის სწერს: «ჩემი ძველი—1820 წლის—როიალისტური და კათოლიკური რწმენა ერთი მეორეს შემდეგ დაიმსხვრა ათი წლის განმავლობაში ხნისა და გამოცდილების წინაშე (სხვათა შორის მეორე ადგილას ის სწერს: რესპუბლიკა ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული, მარა ის ექნება ევროპას ერთი საუკუნის შემდეგო).

მის ნაწერებს, პოეტურს თუ პროზას და შემდეგ სხვადასხვა წერილებს დროისა და მიხედვით ამ სხვა და სხვა შეხედულებათა დაღი ასვია. ლიბერალიზმი, თავისუფლების იდეა, რომელსაც 28 წლიდან მთელ თავის სიცოცხლეში ის

*) Lit. et phil. metieis.

**) გებრი ერქვა იმ სპარსელს, რომელიც ზაროასტრის რელიგიას ეკუთვნოდა.

ემსახურებოდა, ჯერ ხელოვნებაში გამოიჩინა და შემდეგ ლოლიკურათ მან საზოგადოებაში გაატარა *).

«... Et l'on sent bien qu' on est emporté vers l'azur».


და აი, ამ ლაქვარდ ცისკენ აღმა ფრენა, ეს ამაღლება სინათლისაკენ, რომელსაც ჰიუგო—მოწყენილობის რამოდენიმე პერიოდების შემდეგ, მუდამ ამღერებდა მის საუცხოვო ლირაზე—ყველა ჩვენგანს სწამს; არა დღეისათვის შეიძლება, მარა ხვალისთვის, «ერთ მშვენიერ დღისათვის», როგორც სწერს მეორე პოეტი **). იმედი ადამიანის სათნოებაა იმიტომ, რომ ეს მას ესაუირობება. უმისოთ—უიმედოთ—ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა.

ქართულმა ემიგრაციამ, ჩვენ საყვარელ სამშობლოსთან ერთათ, უნდა გაიზიაროს დიდი ლტოლვილის, გენიალურ პოეტის, ეს ოპტიმიზმი.

ანტონ ქორქოლიანი.

*) ასეთია კეთილშობილური აზრები და მოქმედებანი ამ დიდი ფრანგის. ეს არ უშლის ხელს ბოლშევიკებსა და სხვა «კომუნისტებს» ის თავისიანათ გამოაცხადონ. ასევე «მითვისეს» მათ ჟორესი, მარქსი და ჟან დარკიცი კი. ყველა ეს სასაცილოა და ვიციით თუ რისთვის სუიციდებია მათ—უკვე გარდაცვლილი დიდი პიროვნებანი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჰიუგო რომ თანამედროვე იყოს ის იქნებოდა დაუძინებელი მტერი იმ ხალხის, რომელმაც დაატყვევა და რკინის უღელი დაადვა ადამიანის პიროვნებას და თავისუფალ ერთმარა ამაზე სხვა დროს. ა. ქ.

**) F. Gregh : l'œuvre de V. Hugo.



შეცდომის გასწორება.

წინა ნომერში, ან. ქორქოლიანის წერილში «ვიქტორ ჰიუგო» გამოგვრჩა შემდეგი კორექტურული შეცდომები: მე 16 გვერდზე, ზევიდან მე-13 სტრიქონში: «ეს არის მხოლოდ და» ს მაგივრათ უნდა იყოს: «ეს არის მხოლოდ ცდა»; მე 17 გვერდზე, ქვევიდან მესამე სტრიქონში: «ამით იგი მკითხველს არ კარგავს», უნდა იყოს: «ამით მკითხველი არას კარგავსრა»; იქვე მეოთხე სტრიქონში სწერია: «განმარტივებულია», უნდა იყოს: «განმარტულია»; მე-18 გვერდზე, ზევიდან მე-12 სტრიქონში უნდა იყოს: «ებრძვის ტირანიას» და არა: «ებრძვის ტირანი».

„შეკავება თუ განთავისუფლება?“

ამ სათაურით, ამ რამდენიმე ხნის წინეთ, ამერიკაში გამოვიდა დღეგმს ბერნჰეიმის მეტად საინტერესო წიგნი^{*)}. როგორც წინა ნომერში აღვნიშნეთ, დღეგმს ბერნჰეიმში არის რესპუბლიკანური პარტიის უმთავრესი თეორეტიკოსი რუსულ საკითხში. ამ ეჟამად ის კითხულობს ლექციებს ფილოსოფიაზე ნიუიორკის უნივერსიტეტში. იცის რუსული, იცნობს საბჭუთა რუსეთს ზედმიწევნით და ამიტომაც, რომ მის აზრს და შეხედულებას მოწინააღმდეგენიც კი დიდ ანგარიშს უწევენ. მისი ზევით ნახსენები წიგნი იმდენად საინტერესოთ ჩასთვალეს ამერიკის კურნალ-გაზეთებმა, რომ ჩვეულებრივი რეცენზიის ნაცვლად—მთელი თავები გადმობეჭდეს. ახლა ის გადმოითარგმნა შემოკლებით რუსულადაც, საიდანაც ჩვენ ვსარგებლობთ.

ბერნჰეიმი, როგორც ყოველთვის, ისე ამ შრომაშიაც, სასტიკად ებრძვის ტრუმან ანენსონის პოლიტიკას საბჭუთა რუსეთის მიმართ. ამ პოლიტიკაში ის ხედავს ორ შეცდომას. პირველია—მისი აზრით—თეორია, თითქოს კომუნისში ჩნდებოდეს და ვითარდებოდეს ცუდი ეკონომიური პირობების გამო; და თითქოს მისი დაძლევა შეიძლებოდეს ამ პირობების გაუმჯობესობით. ე. ი.—ასკენის ის—შეიძლებოდეს კომუნისმისაგან თავის გამოსყიდვა. ამ თეორიის შედეგი იყო «მარშალის პლანი»-ო.

ასეთი თეორია, მისი აზრით, სავსებით მცდარია და დასამტკიცებლათ მოჰყავს ჩეხო-სლოვაკია და ფინლიანდია. ჩეხო სლოვაკია იყო მდიდარი, მიუხედავთ ამისა, კომუნისში მიიღო. ფინლიანდია იყო ღარიბი, მარა არა თუ მიიღო ის—შეებრძოლა კიდევ. ღარიბია ოსმალეთიც, მარა ვერც იქ მოიკიდა ფეხი კომუნისმმა, მაშინ როცა, შედარებით უფრო მდიდარ საფრანგეთში და იტალიაში ის ასე ძლიერია. ძლიერია ის აგრეთვე მდიდარ ბრაზილიაშიც. თვით ამერიკაში პროცენტულათ ის უფრო მეტია პროფესორებთა, კინოს არტისტებთა და მწერლებთა შორის, ვინემ მუშებსა და ფერმერებს შორისო...

თვით კომუნისმს ბერნჰეიმი განმარტავს ასე: «კომუნისმი არის დისკიპლინით შეკრული და ერთი ცენტრის მორჩილი მსოფლიო წარმოება. მისი გეოგრაფიული ბაზაა საბჭუთა კავშირი, თუმცა მუშაობს ყველგან. ის არის პოლიტიკური აპარატი. ის ერის ორგანიზმში კი არ ჩნდება, არამედ შემოდის გარედამიდან, მისი ცენტრიდან»...

კომუნისმის განვითარება-გაძლიერების უმთავრესი პირობაა—სწერს ის—სუსტი მთავრობა, პირობა წმინდა

*) «Contenir ou Liberer» (ფრანგ. თარგმანი).

პოლიტიკური და არა ეკონომიური. მაგალითები: რუსეთი 1917 წელს (მთავრობა კერენსკის), ჩეხო-სლოვაკია 1948 წელს (მთავრობა ბენეშის), ახლა—ინდოეთი (მთავრობა ნერუს). მაგალითი წინააღმდეგი: ფინლიანდია (ხაშთრის ომი) და საბერძნეთი. მილიარდები, რომელიც გაიღო ამერტკამ «კომუნისმისაგან თავის გამოსასყიდათ»—დაიკარგა ტყუილად. რატომ ამერიკის სახელმწიფო [დებარტამენტი მხოლოდ სუსტ და გაუბედავ მთავრობებს უწევდა დახმარებას? იმიტომ რომ, ეს დებარტამენტი ტრუმანის დროს, თვითონ არ იყო დარწმუნებული თავის პოლიტიკის სისწორეში, თვითონ განიცდიდა რყევას... მიდგომა კომუნისმისადმი უნდა იყოს პოლიტიკური და არა ეკონომიური. ეკონომიური ზომები უნდა ფასდებოდეს მხოლოდ მისი პოლიტიკური მიზნებით. ჩინეთის კომუნისტებმა აგრარული პროგრამმა გამოიყენეს ხალხის მისამხრობათ პოლიტიკური მიზნით. საფრანგეთი და იტალია სულ შეხუთულია არა ეკონომიური მიზნებით, არამედ უპერსპექტივობით და მიზნების უქონლობით...

მეორე ბაზა იყო—ჯარების მთავარი მტაბის უფროსის გენ კოლინსის შეხედულება: «ბოლოსდაბოლოს ყველაფერს იარაღი სწყვეტს». ა. ბუნებრივია, რომ ამ თეორიას გასავალი აქვს მხედრობაში, მაგრამ რამდენი ყოფილა შემთხვევები როცა კარგ პოლიტიკას უფრო ადრე გადაუწყვეტია «ყველაფერი», ვინემ კარგ იარაღსა და ასკვნის: «ომის ყველა ფორმებში უმაღლესი და უმნიშვნელოვანესი არის—ომი პოლიტიკური. ბრძნული და გაბედული პოლიტიკა ყოველთვის იმარჯვებს ოქროზე და ფოლადზე». ა.

მარა, შეუძლია კი ამერიკას აწარმოვოს ასეთი პოლიტიკური ომი?—კითხულობს ის და უპასუხებს იქვე. შეუძლია—თუ მოიშორებს თავიდან იმ გულუბრყვილობას. რომელიც ახასიათებს ტრუმანის პოლიტიკას, რომლის ლეიტმოტივი იყო სურვილი მოწონებისა: «შემოგვხედეთ, რა კარგები ვართ ჩვენ»-ა. და ჩამოთვლიდენ თავის პროპაგანდაში ყველა იმ სიკეთეს, რითაც სარგებლობს ამერიკის მოქალაქე. შედეგი? შედეგი ის რომ მაძლარი და ბედნიერი ამერიკა გახდა შურისა და სიძულვილის საგანი ლატაკი ევროპისა და აზიისათვის. საბჭოებს რომ მათთვის ომის მომხრეობა არ დაეწამებიათ—დაიწყეს მტკიცება, რომ ესენი კიდევ უფრო მეტად იცავენ და ეტრფიან მშვიდობიანობას, ვიდრე თვით საბჭოები. და «განა რუსებს, ბალტიელებს და რუმინელებს შეუძლია შეგვიყვაროს, თუ წარამარა ვიმეორებთ, რომ ჩვენ არასდროს არ გავილაშქრებთ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, იმ რეჟიმის, რომელიც მათ ასე სტანჯავს?»

კომუნისტების საწინააღმდეგო პოლიტიკური ომი—ბერნჰეიმის აზრით—შეიცავს ორ თვისებას: კომუნისმის ცოდნას და მის გადაჭრით უარყოფას. ტრუმანის მთავრობის ადმინისტრაციის ასეთები ცოტა იყო. ეს აიხსნება რამოდენიმედ

თვით ამერიკელის ხასიათით. ამერიკელი საქმის კაცია, იდეოლოგია, იდეურობა, მას არც ისე აინტერესებს. ამიტომ ასეთ ამერიკელს ძალიან უჭირს გაიგოს კომუნისმი. და როცა იძულებული ხდება ის შეისწავლოს და მასთან საბრძოლველი გზები ეძიოს—გული მოსდის. უმრავლესობა ამერიკელებისა ასეთებია. მაგრამ არიან იდეური ამერიკელებიც, თუმცა უმცირესობა. ამ უმცირესობას კი უფრო იზიდავს მემარცხნეობა. მტკიცე და უკომპრომისო ანტიკომუნისტი ამათ ამაღაში ვერ მოხვდება. «ესენი თითქმის ყველა ფაშისტებია» — ფიქრობს ეს უმცირესობა. უორქ კენანი, რომელიც, უეჭველად, ანტიკომუნისტურათ არის განწყობილი,—არ არის განსუვალული მათდამი სიძულვილით. მართალია, ის არის კომუნისმის მოწინააღმდეგე, მაგრამ არა გადაჭრით, არა გატაცებით, არა მთელი თავისი არსებით. პირიქით, ის უფრო ანტიკომუნისტებს ვერ იტანს.

საბჭოთა კავშირის მიმართ პოლიტიკური ომის საწარმოებლად, ბერკეში არჩევს სამ ფორმას: 1. დამშვიდება. 2. შეკავება. 3. განთავისუფლება. მისი განმარტებით პირველი გამოიწვევს საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროს გაფართოებას. მეორეს შედეგი იქნება—დღევანდელი საზღვრების შენახვა. მესამე კი იქნება, თუ სრული ლიკვიდაცია არა, შესუსტება მაინც კომუნისმის ბატონობისა მსოფლიოს ნახევარზე.

აჩესონი და მისი თანამშრომელნი, ეყვი არაა. იყვენ პირველის (დამშვიდების) მომხრენი. სხვები, უმთავრესად, სამხედრო პირები იცავდენ მესამეს, ე. ი. განთავისუფლებას. ამიტომ შეკავების პოლიტიკა იყო პრაქტიკული კომპრომისი ორ უკიდურეს მიმდინარეობათა შორის.

მაგრამ, როგორ უნდა გვესმოდეს განთავისუფლება? ვინ უნდა გავანთავისუფლოთ, რისგან უნდა გავანთავისუფლოთ და ვისგან? საბჭოთა კავშირის პრობლემის მთელი შინაარსი სწორედ ამ საკითხშია ჩაქსოვილი—ამბობს ის. და რა გინდნათელი და უდავო არ იყოს ის რუსეთის ემიგრაციისათვის—დასავლეთ ქვეყნებისათვის ის სხვაგვარად დგას: კომუნისმის სრულიად რეალურ უდიდეს საშიშროებას ამათ თვალში, ადვილად ჩრდილავს ეფემერმიული საშიშროება მომავალი რუსეთის იმპერიალიზმისა, რის გამო ებღუეებიან ყოველგვარ საბაბს, რომ შეასუსტონ ეს მოჩვენებითი საშიშროება ყოველგვარი ოპერაციებით.

თვითონ ბერკეში ამ განთავისუფლების შინაარსს გამოხატავს ასე: «უნდა განთავისუფლდეს არა მხოლოდ ის ტერიტორიები, რომლებიც საბჭოების მიერ იყო ხელში ჩაგდებული მეორე ომის დროს, თუ ომის შემდეგ (სატელიტები), არამედ მთელი საბჭოთა იმპერია, რუსის ხალხის შიგნით».

ასეთი განთავისუფლების პოლიტიკა—მისი აზრით—გატარებულ უნდა იქნეს ამერიკის ცხოვრების ყველა სფერო-

ში: დიპლომატიკაში, ეკონომიკაში. ფსიქოლოგიაში, სამხედრო საქმეებში. დღემდის წარმოებული შეკავების პოლიტიკა «პარალიჩს» უყუთებდა ამერიკის ყოველგვარ აქტიობას საბჭოების მიმართ, ამიტომ ამას უნდა ბოლო მოეღოს...

ასეთი განთავისუფლების პოლიტიკის მიღება—განაგრძობს ის—შეერთებულმა შტატებმა უნდა აცნობოს საბჭოთა კავშირის ყველა მცხოვრებთ და აგრეთვე მთელ კაცობრიობას შესაფერი დეკლარაციით. თუ რომ ამერიკა მზათაა მოუზრგდეს საბჭოთა კავშირს «დიდი ხნით და სერიოზულათ»—მაშინ ადგილობრივი წინააღმდეგობანი საბჭოთა კავშირში ჩაქრება და ყოველგვარი ლაპარაკი განმათავისუფლებელ მოძრაობაზე შიგნით—იქნება მხოლოდ პროვოკაცია. მარა თუ ამერიკა გამოაცხადებს ხალხების განთავისუფლებას და ასეთ დეკლარაციას საქმითაც გაამაგრებს—მდგომარეობა ძირიანად შეიცვლება: წარმოიშობა იმედი, რომელიც შეიძლება დარწმუნებაშიაც გადავიდეს...

რა საქმეებით შეუძლია ამერიკას გაამაგროს თავის დეკლარაცია? პირველ ყოვლისა—ამბობს ის—მან უნდა იცნოს ოფიციალურად ემიგრანტული მთავრობები, უწინარეს ყოვლისა, ბალტიის მხარეს და პოლონეთის. მეორედ—შეადგინოს დაპყრობილი ერების სამხედრო ძალები, მათი ნაციონალური დროშით და დაუკავშიროს ის ჩრდილო-ატლანტიკის კავშირს, ან ონიუს, ანდა დაბოლოს ამერიკის სამხედრო ძალებს. მესამე—დააყენოს ფართოთ თავისუფალი უნივერსიტეტები დაპყრობილ ერების კადრების მოსამზადებლად სამშობლოში სამსახურისათვის. ამ ზომებს შეუძლია (და შესძლებენ კიდევ) ძირიანად შესცვალოს უდიდესი პრობლემა გარდემოხვეწილობისა—გადააქციოს ის მძიმე ტვირთის ნაცვლად სასიხარულო ტრიუმფათ. მეოთხე—უნდა გამოცხადდეს კომუნისში კანონს გარეშე, როგორც მორალურად და ინტელექტურად მოწინააღმდეგე კაცობრიობის ცივილიზაციისა. ეს გაუხსნის ხელს ამერიკის მთავრობას შინაური კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, გააჯანსაღებს ამერიკის სულიერ სიძლიერეს და განამტკიცებს მის ნებისყოფას გარეშე კომუნისში წინააღმდეგ საბრძოლველად.

ავტორი არც იმას სტოვებს უყურადღებოთ, თუ როგორ უნდა მოეწყოს საბჭოთა ხალხების ცხოვრება კომუნისმის დაცემის შემდეგ.

«თუ განთავისუფლება—სწერს ის—მართლა გამოიწვევს დღევანდელი საბჭოთა იმპერიის დანაწილებას რამდენიმე «დიუჟინს» სრულიად დამოუკიდებელ სუვერენულ და ურთიერთ შორის მოქიშვე სახელმწიფოებად, ამით ის მაინც ვაკეთდება, რომ აშორებულნი იქნება ის აუტანელი საწიშროება მსოფლიო მშვიდობიანობისათვის, რომელიც ახლა არსებობს. ასეთი ზე-ბალკანიზაციაც კი უმჯობესია, ვინემ დღევანდელი მდგომარეობა. რასაკვირველია, მაინცადამაინც სასიხარულო

ასეთ წყობაში დიდი არაფერია. ასეთ პირობებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გონიერი ეკონომიური მოწყობა შეუძლებელი იქნება, რადგან ეს ვეებერთელა ტერიტორია არას დროს მყარე წონასწორობაში არ იქნება პოლიტიკურად. ათასი წვრილმანი ქიშპობა და კონფლიქტები წარმოშობენ ცივ თუ ცხელ ომს და ადვილი შესაძლებელია ახლად განთავისუფლებული ხალხების დამოუკიდებლობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდეს. ასეთი შედეგების ასაცილებლად ის ეძებს გამოსავალს და პოულობს მას «ნებაყოფლობითი შექმნილ აღმოსავლეთ ევროპის ფედერაციაში, რომელიც უნდა იქნეს შემადგენელი ნაწილი ფედერატიული ევროპისა. ამ რიგად, განთავისუფლება, დამოუკიდებლობა და ფედერაცია— აი განვითარების სამი ეტაპი ბერნკემის აზრით.

დაბოლოს ის ჩერდება საკითხზე—კი მაგრამ ეს განთავისუფლების პოლიტიკა რომ ომის დაწყების პროვოკაცია გახდეს საბჭოების მხრით?

მთელი რიგი შემთხვევების ანალიზით ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ომის დაწყება პროვოკაციით—შეუძლებელია. თუ საბჭოთა კავშირს ომი სასარგებლოთ მიაჩნია—ის მას არ დაეირიდება, ომი უთუოდ იქნება რა პოლიტიკაც არ აწარმოვოს ამერიკამ; და თუ არ იქნება მისთვის ხელსაყრელი—არც მოხდება. ამერიკამ მინც, ყოველ შემთხვევისათვის, უნდა ემზადოს ომისთვის. მაგრამ უნდა შევითვინოთ, რომ განთავისუფლების პოლიტიკა კი არ ადიდებს ომის დაწყების შანსებს, პირიქით, ამცირებს მას და სს. და სს.

ასეთია ბერნკემის ახალი წიგნის შინაარსი, სულ მოკლედ გადმოცემული, უადგილობის გამო.

შეიძლება ბერნკემს ზოგ რამეში არ დავეთანხმოთ, მაგ. დებულება კომუნიზმის წარმოშობა-გაძლიერება და ეკონომიური ფაქტორების გავლენის ურთიერთობაზე; შესაძლებელია არც მისი პროგნოზები განვითარდეს მის მიერ გათვალისწინებული გზით; მაგრამ, რომ «რუსეთის პრობლემა» ამა თუ იმ გზით უნდა გადაიჭრეს, რომ ის დღის წესრიგში დგას, როგორც სადღეისო პრობლემა, და რომ მოწინავე საზოგადოების აზრი და გონება მის სათანადოთ გადაჭრას დასტრიალებს—ეს კი ყოველივე ეჭვს გარეშეა.

კართაგენი უნდა დაინგრეს. და მას ვერ იხსნის ამ ბედისაგან ვერავითარი დიპლომატიური მოლაპარაკებანი და კონფერენციები, რომლითაც ასე შეპყრობილნი აღმოჩნდნენ ამ ბოლო დროს ზოგიერთი სახელმწიფოს მეთაურნი...

ვრ. ურატაძე.

ქაშელის ზედი-ჩვეულებიდან.

ჩვენ თავის დროზე უკვე გამოვსთქვით ჩვენი აზრი ბერიას საქმის შესახებ.

ახლა იგი უკვე დასჯილი არის სიკვდილით «ოფიციალურათ» და მისი «საქმე» გათავებულია. ზოგი იმასაც ფიქრობს, რომ იგი შეიძლება მანამდისაც მოკლული იყო «არაოფიციალურათ», სანამ განაჩენს გამოუტანდენ. ამიტომ უცხოეთის პრესა თითქმის უყურადღებოთ შეხვდა «გასამართლებას» და მას არ დაუჯერებია, რასაკვირველია, საბრალმდებლო ოქმში გამოქვეყნებული ბრალდებანი; ასეთ ბრალდებებს საბჭოთა კავშირში თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებენ, როცა იქაურ რეჟიმის დიდი-კაცები თავიდან უნდათ მოიცილონ, უბრალო მომაკვდავისთვის უცნობ და გაუგებარ მიზეზების გამო.

ბერიას წინააღმდეგ შედგენილ საბრალმდებლო ოქმში კურიოზებიც არის. ასე, მაგალითად, ბრალდების თანახმად, ბერია 1919 წლიდან უცხო, კაპიტალისტურ ქვეყნების და «მენშევიკების» აგენტი ყოფილა. «უმენშევიკოთ», «უკაპიტალისტოთ» და «უემიგრაციოთ», თანახმად იქ შემოღებულ ჩვეულებისა, ბრალდება ვერ შესდგება; ხოლო როგორ მოხდება, რომ 1919 წლიდან 1953 წლამდის ბერია, უცხოელების და სხვა მტრების აგენტი, სულ აღმართ-აღმართ მიდიოდა და კრემლის მთავრობაშიც დიდათ საპასუხისმგებლო ადგილზე თავი შერგო, ეს გასაოცარი ამბავია. იმაში ხომ არ გამოიხატებოდა ეს «ავერტობა», რომ მან, ბერიამ, სისხლით შეღება ჯერ საქართველო და ამიერ-გავკასია და შემდეგ მთელი რუსეთი? სად იყო ხელისუფლება, თუ აგენტი მმართველობის შუაგულში უჯდათ? იქნება იგი განგებ ახვრეტინებდა ბევრ უდანაშაულოს საბჭოთა კავშირისთვის სასარგებლო პირებს? აი, მაგალითად, ორჯონიკიძე—თანახმად საბრალმდებლო ოქმისა—ბერიას მიერ ყოფილა მოკლული; იმ დროს კი საბჭოთა ხელისუფლება ქვეყანას არწმუნებდა, რომ ორჯონიკიძე უეცრათ, გულის ავთმყოფობით, გარდაიცვალაო... სად არის სიმართლე, როდის სტყუოდენ: მაშინ თუ ახლა?

უცხოელი მკითხველი, კანონებზე და წესებზე აღზრდილი. ვერ ერკვევა, რა თქმა უნდა, ამ არეულ-ღარეულ ამბებში. ყოველივე ამის გაგება და დაფასება თვით პრესისთვისაც ხშირად ძნელია ევროპაში.

გამონაკლისს წარმოადგენენ ზოგიერთი პუბლიცისტები, რომელნიც კარგათ იცნობენ რუსეთს, ბოლშევიზმის ბუნებას და იქაურ ამბებში კარგად ერკვევიან. ასეთ უცხოელ პუბლიცისტთა რიცხვს უსათუოდ ვკუთვნის ოტო კარლ ფონ ფელდერი,

დირექტორი სოციალისტურ ჟურნალის «Dimanche Populaire», რომელიც იცნობს იქაურობას, სწერს იმაზე დასაბუთებულათ და ძალიან კარგათ ერკვევა საზოგადოთ საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში. იგი ბერიას «გასამართლებამდის» სწერდა თავის ჟურნალში:

ბერიას და მასთან შეთქმულებს, შვიდ მთავარ მოხელეს, სიკვდილით რომ დასჯიან, ეს უეჭველია. მალენკოვი ამ მხრივ სტალინის ტრადიციას აგრძელებს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ლენინის კომპანიონები სტალინმა ლენინის გარდაცვალების ათი წლის შემდეგ დახოცა, მალენკოვმა კი სტალინის გარდაცვალების შემდეგ ერთი წელიწადიც ვერ მოიცადა, რომ მისი მთავარი კონკურენტი არ მოესპო-ო.

ბერიას შემდეგი მთავარი ბრალდებები წარუდგინეს:

1) მთელი ძალაუფლების პერსონალურათ თავის ხელში ჩაგდება უნდოდა. ეს შესაძლებელია, ხოლო უნდა ითქვას ისიც, რომ აქეთკენ მისწრაფის ახლა თვითონ მალენკოვი;

2) ის სასურსათო გასაჭირი, რომელსაც საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ახლა განიცდის, სახელდობ სოფლის მეურნეობის კრიზისი ბერიას ბრალი არისო. ამ გასაჭირს და იმის მიზეზებს ხალხი თავის თვალთ ხედავს; ყველამ იცის, რომ ეს იმ რეჟიმის ბრალია, რომელიც შექმნეს ლენინმა და სტალინმა და იმ კოლხოზების და სოფხოზების, იმ პოლიტიკის, რომელიც 1931 წლიდან დააფუძნა სტალინმა;

3) მისი «აგენტობა» საბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგეთა სასარგებლოთ, ჩვეულებრივი, ყველასთვის კარგად ცნობილი «ბრალდებაა» ყველა მათ მიმართ, ვისი თავიდან მოცილებას კრემლის ბრძანებლები განიზრახავენ.

დასასრულ, ორჯონიკიძის მოკვლა. იმ დროს მოსკოვში ხმები იყო, რომ ეს იეჟოვის საქმე არისო და სტალინის ბრძანებით; ხოლო ოფიციალური ცნობები იტყობინებოდა, რომ იგი უეცრათ გარდაიცვალა. ახლა მალენკოვი აცხადებს: ბერიამ მოკლა იგიო!..

ორესტ როზენფელდი ფიქრობს, რომ ყოველივე ეს რუსეთში ძველათაც წესათ ჰქონიათ, მეფეთა სასახლეში, ეს ძველი ამბებია, ძველი ამბების განმეორება. იგი იგონებს, რომ მეფეთა დროის ძველი ისტორია სავსე იყო მკვლევლობით: ივანე მრისხანემ თავისი ვაჟი მოკლა; პეტრე დიდმა მოკლა თავისი შვილი; ეკატერინე მეორემ თავისი ქმარი (პეტრე მესამე) მოაკვლევინა; ალექსანდრე პირველმა მონაწილეობა მიიღო თავის მამის პავლე პირველის მოკვლის შეთქმულებაში... კრემლში რეჟიმი გამოიცვალა—ამბობს ავტორი—ხოლო კაცები ისეთივენი დარჩნენ (იხ. «Dimanche Populaire» № 262, 27 დეკ. 1953).

კრემლის ასეთივე განსაკუთრებული—მაგრამ უფრო ნაკლებ მნიშვნელობის—თვისებაა სხვანაირი კურონებები.

ასე, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ («Monde» 5 ამ თვის). საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სამეცნიერო გამოცემანი აუწყებენ ხელის მომწერთ, რათა საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის მეხუთე ტომიდან ამოიღონ მე-21, 22, 23 და 24 გვერდი და სურათიც, რომელიც ჩაწებებულია მე-22 და 23 გვერდებს შუა, და მათ მაგიერ სხვა ტექსტი ჩააწებონ.

საქმე ისაა, რომ ამ გვერდებზე საბჭოთა ენციკლოპედი-აში მოთავსებულია ბერიას ბიოგრაფია, მისი საქმენი საგმი-რონი და მისი სურათი. საბჭოთა კავშირის და მისი სატელი-ტების ტერიტორიაზე დაემორჩილებიან ამ განკარგულებას, მაგრამ საბჭოთა ენციკლოპედია ხომ სხვა ქვეყნებშიც მოი-პოება. არ ფიქრობ, უცხოეთის ბიბლიოთეკები დაემორჩი-ლონ საბჭოთა «სამეცნიერო გამოცემების» ამ მათთვის გაუ-გონარ წინადადებას. იმას კი ბევრი იფიქრებს ამ წინადადე-ბის გაგონებაზე: ყველა ეს საბჭოთა ვაჟბატონები ერთი მეო-რეთა ღირს; მათი ცალკე-ცალკე ენციკლოპედიიდან ამოღლე-ჯას ის არ აჯობებს, რომ ერთგვარ და სამუდამოთ თვით საბ-ჭოთა რეჟიმი ამოიფხვრას პირისაგან ამა ქვეყნისა!...

—ნე.

ზ ო მ ი რ ა მ.

ჩეკა-გეგუე არასდროს არ აკლებდა თავის მაღალ ყურა-დლებას ემიგრაციას. მარა ამ ბოლოს ეს ყურადღება მეტად გაძლიერდა და გაფართოვდა. რა სახით და რა იდეოლოგიით არ ევლინებიან მისი აგენტები ემიგრაციას! ზოგი ინტერნა-ციონალისტია, ზოგი ნაციონალისტი, ზოგი პარტიული, ზო-გი უპარტიო,—სადაც როგორ მოუხდებათ.

ერთი ასეთი დიდი აგენტი ამ დღეებში დაიჭირეს გერ-მანიაში. ის არის ვინმე გიორგი მიულერი, რომელიც ერთი უმთავრესი მეთაურია სოლიდარისტების ორგანიზაციის. მე-თაურობდა მის გაზეთებს, იყო მასწავლებლათ მათ «სკოლა-ში», ახდენდა რევიზიებს პერიფერიების ორგანიზაციებში, გამოდიოდა როგორც რუსებში, ისე უცხოელებთან მათი და-ვალებით, აწყობდა შეთანხმებებს სხვადასხვა ორგანიზაციებ-თან, აკეთებდა სხვადასხვა ხასიათის საპასუხისმგებლო დეკ-ლარაციებს. ერთი სიტყვით, იყო სული და გული იმ ორგანი-ზაციის. რომელიც აერთიანებს როგორც ძველ, ისე ბევრ ახალ ემიგრანტებს.

როცა დაიჭირეს—გამოირკვა რომ ის არც გიორგია და არც მიულერი. არამედ რუსი ჩეკისტი. გვართ ხან ხარუენი, ხან ხერსონსკი. მიულერი დაიჭირა ამერიკის პოლიციამ, რომელსაც თურმე მასზე დიდიხანია ეჭვი ჰქონდა.

მიულერის დაჭერამ მთელი გერმანიის, განსაკუთრებით რუსული პრესა, აალაპარაკა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ

ბოლო დროს ჩეკის აგენტები მეტად გათამამდნენ და გამრავლდნენ ემიგრანტულ ორგანიზაციებში და მოითხოვენ არსებული ორგანიზაციების სასწრაფო «დებინფექციას». სბორნის გაზეთი «ნარ. ვოლია» ნაღვლიანად შენიშნავს: «ახეფის და გენ. სკობტლინის დრო გვიახლოვდება»-ო.

გზადაგზა გაზეთებში მოყვანილია იმ ინსტრუქციების შინაარსი, რომელიც გაჩხრეკის დროს, სხვადასხვა ადგილას უნახავთ. მოყვანილია თუ რას ავალებს ჩეკა იმ თავის აგენტს, რომელიც ემიგრაციაში მუშაობს: გაგება და შეკრება საჭირო ადრესების, აღწერა და შესწავლა ამა თუ იმ პირის კერძო ცხოვრების, ხასიათის, არსებობის საშვალების; დარდობს თუ არა თავის სამშობლოზე, განსაკუთრებული სისუსტე მისი ხასიათის, პატივმოყვარეობა, შურიანობა და სხ. ამავე დროს ევალდება გავრცელება სხვადასხვა ხმების უფრო აქტიურ ორგანიზაციებზე, რომ ის კომუნისტებისაგან თუ მათი თანამგობნობებისგან შესდგება; ასეთივე ხმების გავრცელება უფრო ცნობილ აქტიურ ანტიკომუნისტებზე. მიზანი ასეთი ხმების გავრცელებისა არის ის, რომ ამით დაუკარგონ მათ ნდობა და გავლენა და ასე თავიდან მოიშორონ მომქმედი და ენერგიული მოწინააღმდეგენი.

ეს ბნელი ძალები, მდიდარნი ფულით, ადვილად ახერხებენ აიყოლიონ, როგორც ძველი, ისე ახალი ემიგრანტი და მათთან ერთად, თუ მათი საშვალებით, ქმნიან ყოველგან ისეთ ატმოსფერას, რომ შეუძლებელი ხდება რაიმე ანტიკომუნისტური მუშაობა. მიუღერ ხერსონსკის ჯაშუშობის გამომქლავნებას, იმავე გაზეთის გადმოცემით, დიდი გულგატეხილობა გამოუწვევია რუსს ემიგრაციის ფართე წრეებში. სადაც მას კარგად იცნობდნენ. ახლა თურმე ხშირად გაიგონებთ: «ვერავის ველარ ენდობი», «ყველგან ჯაშუში», «ყველგან გამცემი» და სხ.

გაზეთები ერთხმად აფრთხილებენ თავიანთ მკითხველებს — იყვნენ ფრთხილად, გაამახვილონ ყურადღება, არ გაეკიდონ სიმრავლეს, მიიღონ წევრები სანდო პირების თავდებობით, მიაქციონ ყურადღება სხვადასხვა პირების საჯარო გამოსვლებს და სხ. და სხ.

ქალთა ლაგერი მდინარე იაიაზე. ეს ლაგერი იმყოფება საბჭოთა რუსეთში, საშუალო ციმბირში. მდ. იაიაზე. ეს არის საგანგებო ლაგერი იმ დიდ კომუნისტების ცოლებისა, ქალიშვილებისა და დებისათვის, რომლებიც დახვრეტილ იქნენ, თუ «გაქრენ». უკანასკნელი ომის დროს პოლონეთში დაუქვრიათ მრავალი სოციალისტები და პროფეს. კავშირების წევრები, რომელთა ცოლები და დები გაუგზავნიათ ამ ლაგერში, სადაც ბევრი მათგანი დაღუპულა. ხოლო ვინც გადაარჩა ის გაუნთავისუფლებიათ ომის შემდეგ და ერთი ამთგანი ასწერს ამ ლაგერს და მის საშინელებას, საიდანაც მოგვყავს ზოგი

რამ. ლაგერში—სწერს ის—იყო 2.600 ქალი, ყველა პოლიტიკურები და ბევრათ თუ ცოტათ ცნობილი ან ქმრით, ან ძმით, ან მამით. ზოგიერთი კი თავისთავათაც იყო ცნობილი. მაგ. ზინოვიევის ცოლი—ლილიანა. ესენი იყვნენ მოთავსებულნი ოთხ დიდ ბარაკში. იქვე იყო ფაბრიკები და სახელოსნოები, სადაც მათ ამუშავებდნენ. მუშაობა ყველასათვის სავალდებულო იყო. დასამუშავებელი ნორმა კი საკმაოდ დიდი და ვინც ვერ დაამუშავებდა—უკლებდნენ პურისა და სხვა რაციონს. ახალგაზნდები ახერხებდნენ ნორმის გამომუშავებას, მოხუცი, არა პროფესიონალური მომუშავენი, იშვიათად ერგოდნენ თავის ნორმას, რის გამო სისტემატიურად შიმშილობდნენ.

ლაგერში ბევრი იყო ცნობილი კომუნისტის ცოლი თუ და. მაგ. რადეკის ცოლი მუშაობდა პერანგის ფაბრიკაში. ეს იყო ინტელიგენტი ქალი, რომელიც საშინლად დარდობდა თავისი ორი შვილის ბედზე, რომლებიც წაურთმევიათ მისთვის დატუსაღების დროს და ახლაც არაფერი იცოდა მათ შესახებ. ქმარი რომ მოკლული იყო—ამაში დარწმუნებული იყო, მარა არ სჯეროდა რომ მან კომუნიზმს უღალატა. მეორე ბანაკში იქვე იყო ბუხარინის ცოლი. იქვე ზინოვიევის და კამენევის ცოლი (ტროცკის და). იქვე ფაბრიკაში მუშაობდნენ მარმალ ტუხაჩევის ორი და, რომელთაც მისჯილი ქონდათ ხუთი წელი; სხვა ცოლებს კი—10, 15 წელიწადი. ყველაზე საშინელი შთაბეჭდილება მოუხდენია ებრაელ სოციალისტ ქალს, რომელიც დიდათ ცნობილია პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში «ზემოიაჩკა»-ს სახელით. ის 1937 წელს შესულა კომუნისტურ პარტიაში, მაგრამ ძვირად დაჯდომია ეს «საბჭოთა ილიუზიებით» გატაცება. ხშირი და ველური დაკითხვით, ის უკვე ნახევრად შეშლილთა ლაგერში უნახავს მძიმე ავადმყოფი ტუბერკულოზით...
იგი.

მადლობის გამოცხადება.

იოსებ ელიგულაშვილის ოჯახობა უღრმეს მადლობას უცხადებს ყველა მეგობრებს და ნაცნობებს, რომელთაც პატივი სცეს და დაესწრენ 25 ოქტომბერს წლის თავის პანაშვიდს, განსვენებულის სასაფლაოზე ბანიოში.

ი რ ა ნ ი დ ა ნ.

წარსული
მა წლის 27 ნოემბერს ქალ. თეპერანში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი თანამემამულე ირაკლი ნიკოლოზის ძე ციციშვილი, რასაც აუწყებს საზოგადოებას დამწუხრებული ირანის ქართველთა საზოგადოება.

დასაფლავება მოხდა გასული წლის 29 ნოემბერს თეპერანში ორტოდოქსალურ ქართველთა სასაფლაოზე.

„ჩვენი ღრუბა“-ს ფონდი.

ჩვენი ჟურნალის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ მოწოდებაზე მხურვალე გამოძახილით უპასუხეს ჩვენმა ამხანაგებმა და თანაგრძობებმა. საზღვარგარეთელ ბიუროს მიერ არჩეულ კომისიის წევრებმა: არიანა ურატაძისა და მათიკო სტურუასამ უკვე გადმოგვცეს შემომწირველთა პირველი სია, რომელსაც აქვე ვათავსებთ.

ბ. ნი ზურაბ ჩხოტუა 20.000 ფრანკი.

დავით ხელაძე 5.000 ფრანკი.

გრიშა უჩაძე 5.000 ფრანკი.

ტარილ ქლენტი 3.000 ფრანკი.

დონდუა სერგო, იმნაიშვილი ქრისტეფორე, ექ. ცინცაძე იოსებ, წულაძე ვასო, წულაძე ბაგრატ, კეკელიძე სიმონ, ჯაყელი კოლია, სტურუა მიშა, მოდებაძე გრიშა, ბ. ნი ელიგულაშვილი ლეო, ელიგულაშვილი ირ., ელიგულაშვილი აღექსანდრე, ქალბ ნი ლუბა აბდუშელოსა, რამიშვილი ნუცა, ასათიანი ქეთო, კირტავა ვიქტორ, ურუშაძე ერასტო და დონდუა ლეო თითო 2.000 ფრანკი.

ექ. ანტონ ქორძლიანი, დონდუა ოთარ, ხომერიკი ვიქტორ, ასათიანი აკაკი, მაჭავარიანი ეოასტო, ფალავა ლევან, ქელიძეგრამიტონ, ჩუბინიძე ვალიკო, სურგულაძე გერონტი, ასათიანი ქორა, ქ ნი გელაშვილისა თითო 1.000 ფრანკი.

ბერიშვილი მამია 500 ფრანკი. სულ 80.500 ფრანკი.

ამას გარდა მიღებული გვაქვს კოლია ორაგველიძისაგან 1.100 ფრ., კვიროსი ჩხაიძისაგან 400 ფრანკი და სპარსეთიდან აშხ. გრ. მოდებაძის სახელზე 5 დოლარი.

შემომწირველთა მეორე სია დაიბეჭდება მომავალ №-ში.

„ჩვენი ღრუბა“-ს სარჩივი.

№ 8 იანვარი 1951 წ.

ნ. ქ.—ერთი ძირითადი საკითხი.

მკ. ვეშტკარი—მცირე შენიშვნები დიდ ამბებზე.

ბ. კ.—წარსულის მოსაგონებლათ (დამოუკიდებელი საქართველოს დაცემის 30 წ. თავის გამო).

ივივე—საქართველოს თავისუფლების პირველი მოსპობის 150 წლის თავზე.

დამსწრე—28 იანვრის კრება პარიზში.

ქართველ-ამერიკელთა ლიგა.

ბრძოლა კომუნისმთან.

„*“—ნოე ქორდანის 83 წ. დაბადების დღე.

XXX—ჩ. რამიშვილის 20 წლის გარდაცვალების თავზე სამოქალაქო პანაშვიდი.

ბ. ს.—ახალი წელი!

ე. გ.—ქ. მანერპაიმი (ნეკროლოგი).

- ბ. ბ.—იური ფალავა (ნეკროლოგი).
ნ. ყუბურელაშვილი—ჯემალ ბოგაჩი (ნეკროლოგი).
კოწია მგელაძე და პოლიკარპე რუხაძე (ნეკროლოგი).
ავთანდილ ურუშაძე—ბესარიონ ქლენტი (ნეკროლოგი).
დ.—ლადო ჭურულაშვილი (ნეკროლოგი).
ღ.—ვახტანგ ბერბიჭაშვილი (ნეკროლოგი).
ა. ვადაჭკვირია—წერილი რედაქციის მიმართ.
დახმარება «ჩვენი დროშა»-ს.
«ჩვენი დროშა»-ს სარჩევი.

№ 9 მაისი 1951 წ.

26 მაისი.

- ნ. ქ.—ახალი საერთაშორისო მდგომარეობა.
მვ. გენეტიკური—მცირე შენიშვნები დიდ ამბებზე.
პ. ხარჯველაძე—ბრძოლით მონაპოვარი.
ალ. კარძაიას სიტყვა (წარმოთქმული მიუნხენში მეცნიერთა კონფერენციაზე).
XXX—უბადრუკი გამოლაშქრება.
გრ. ურატაძე—ახირებული წერილი.
ქართველობა უცხოეთში. ევგენი გეგეჟკორის დაბადების დღე. პარიზი. წერილი დასავლეთ გერმანიიდან. ავსტრია. მინდია ლაშაური—წერილი რედაქციის მიმართ.
ხ. ა.—ქალბატონი თლია ჯაფარიძისა (ნეკროლოგი).
აკაკი ვადაჭკვირია (ნეკროლოგი).
მადლობის გამოცხადება.
Z—ზაქარია გურულის მოგონება (ბიბლიოგრაფია).

№ 10 სექტემბერი 1951 წ.

- ნ. ქ.—ორი ბანაკი.
მვ. გენეტიკური—მცირე შენიშვნები დიდ ამბებზე.
ბ. ბ.—ჩვენი დროის სატკივრები.
გრ. ურატაძე—რუსულ ემიგრაციაში.
პ. ხ.—ისევე ერთობაზე.
ბ. გვარჯალაძე—სოციალისტური ინტერნაციონალი.
დეკლარაცია გაკეთებული 26 მაისს 1951 წ. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო მინისტრის აჩენსონის მიერ. 26 მაისი უცხოეთში. პარიზი. მიუნხენი. რუსული პრესა. გაკვირით.
იგი—ეროვნული საბჭოს შესადგენათ (სახოგადო კრება).
ბ. მ.—ლუი დებრუკერი (ნეკროლოგი).
გიორგი ქურული (ნეკროლოგი).
გრ. ურატაძე—მელიტონ რუსია (ნეკროლოგი).
ექ. ვახტანგ ლამბაშიძე (ნეკროლოგი).
ქართველობა უცხოეთში. მ. ხურციძის და ა. სახელაშვილის გარდაცვალება. პარიზი. მიუნხენი. წერილი რედაქციის მიმართ.

№ 11 მარტი 1952 წელი.

- ნ. ე.—საბჭოთა მომავალი.
- პატარიძის «ივერია».
- მვ. გემჭიკაძე—მცირე შენიშვნები დიდ ამბებზე.
- ბ. ბ.—ჩვენი დროის სატკივრები. 5. საქართველოს მოსახლეობა.
- ბ. გვარჯალაძე—წინეთ და ესლა.
- გრ. ურატაძე—სადღეისოთ.
- ბ. ს.—დაპყრობის დღე.
- ლ. ქვეციანი—სოციალიზმი და პატარა ერები.
- გრ. ურატაძე—ადმირალი ალენ კერკი.
- დევნილი—წერილი საქართველოდან.
- სიტყვა წარმოთქმული ს ჩიკვილაძის მიერ 9 სექტემბრის ქართველთა საზოგადო კრებაზე.
- ნაწილები—მორიგი იერიში.
- ნოე ქორდანია და დადების წლის თავი.
- ნოე ქორდანია—ჩემი მადლობა.
- საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს გარდაცვალება.
- ZXX—სვ. წერეთელი (ნეკროლოგი).
- ამხანაგი—ზაქარია ჩიჩუა (ნეკროლოგი).
- კოლონელი ლუი კოკე (ნეკროლოგი).
- ქართველობა უცხოეთში. პარიზი. ნოე ცინცაძის მოხსენება. ექიმ კობა ხაჭოლაძის მოხსენება. ვ. ლაბაძის მოხსენება. ინგლისი. ამერიკა. ავსტრია.
- პარიზის სათვისტომოს წლიური კრება.
- მებრძოლი საქართველო.
- პარტიული ცხოვრება.
- ვახე ლაბაძე—წერილი რედაქციის მიმართ.
- იგი—ვ. ლაბაძის წერილის გამო.
- სერგო მურმანიძე (მისი დარჩენილი ნივთების განაღდებადანი შემოსული თანხა).
- დახმარება «ჩვენი დრო»-ს.

№ 12 მაისი 1952 წელი.

- ორი დღესასწაული.
- ნ. ე.—საბჭოთა გზები.
- მვ. გემჭიკაძე—მცირე შენიშვნები დიდ ამბებზე.
- ბ. ბ.—ჩვენი დროის სატკივრები. 6. ნაციონალური საკითხი.
- ბ. სარჯველაძე—მორიგი თავდასხმა!
- საქართველოს ს. დ. პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო.
- ქართველი სოციალდემოკრატია.
- ჯეორანი—წერილი საქართველოდან.
- გიორგი—რა ხდება საქართველოში (წერილი საქართველოდან).

ა.—არ ახალია, ძველია.
 ვეგენი გეგეჟკორის იუბილე.
 ბ.—ინგლისის მუნიციპალური არჩევნები.
 ქართველები უცხოეთში. 26 მაისი პარიზში. 26 მაისი მი-
 უნხენში. 26 მაისი სოჭოში. გერმანია.
 პ.—ვის ატყულებს აკადემიკოსი.
 ვან როოს ბრუკის 80 წლის თავი.
 ბ. გ.—ისაკ მაზუპა (ნეკროლოგი).
 ბ. გ.—ვიკტორ ჩერნოვი (ნეკროლოგი).
 სტაფორდ კრიპსი (ნეკროლოგი).
 გრ. ურატაძე—მცირე შენიშვნა.
 იურისტთა საერთაშორისო კონგრესი.
 ახალი წიგნი.
 დახმარება «ჩვენი დროშა»-ს.

№ 13 თებერვალი 1953 წელი.

დაობლდა ერი!
 ბ. გვარჯალაძე—პარტიის წინამძღოლი.
 პ. ხარჯველაძე—ჩვენი გლოვა.
 ვ. გეგეჟკორი, ბ. კანდელაკი, ა. ჩხენკელი—ქართველ ერს.
 ი. უ.—ნოეს გარდაცვალება.
 ეროვნული გლოვის დღე.
 სამძიმოის დეპეშები და წერილები.
 სამგლოვიარო დღე სხვადასხვა ქვეყნებში.
 ალ. კორძაია—მიუნხენი (გერმანია).
 ბელგია. ლონდონი. ამერიკა. ისტამბული.
 უცხოეთის ეურნალ-გაზეთებიდან.
 ლეონტი ქვერტი—წარსულიდან (მოგონება).
 მადლობის გამოცხადება.

№ 14 ივლისი 1953 წელი.

ჩვენს მკითხველს.
 საბჭოთა კავშირის დიდი შარკხი.
 ბ. გვარჯალაძე—ჩვენი მუშაობის გეზი.
 გრ. ურატაძე—საკოორდინაციო ცენტრი.
 ბ. ბ.—საქართველოს უფლების დაცვისათვის.
 ა. ბადროძე—მუშათა აჯანყება აღმოსავლეთ გერმანიაში.
 დ.—ბ.—წერილი ბერლინიდან (დასავლეთის სექტორი).
 რა მოხდა აღმოსავლეთ გერმანიაში.
 ბერლინის აჯანყების გამო.
 თანაგრძნობის წერილი საქ. ს.-დ. პარ. საზღვ. ბიუროსი.
 გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიას.
 ალ. კორძაიას დეპეშა ბერლინის ქალაქის თავს.
 საპროტესტო მიტინგი პარიზში.
 გრ. ურატაძე—ბერიას დაცემა.
 ნე—ბოლშევიკების წყალობა.
 ი. უ.—აზიის სოციალისტების კონფერენცია.

მუნიციპალური არჩევნები ინგლისში და გოლანდიაში.
სამაისო მიმართვები.

S.—ნოე უორდანიას სამოქალაქო პანაშვიდი.

26 მაისი.

ჯ.—პარიზი. ი. პ.—სოშო. კ.—მიუნხენი.

ედგარ მილო.

მ. უ.—ექვსი თვის თავი.

რ. წერილი ავსტრიიდან.

იოსებ ელიგულაშვილი (ნეკროლოგი).

ვ. ინწვირველი—ამხ. ნიკიტა იმნაიშვილი (ნეკროლოგი).

ე. რ.—ლი—ალექსანდრე ფაჩულია.

ქართველები უცხოეთში. კ. ჩხეიძის გარდაცვალების წლის
თავი. ქ. ჩოლოყაშვილის საფლავზე.

ა. მ.—აპალონ კობახიძე (ნეკროლოგი).

ამხ. ვლ. ბაქრაძის გარდაცვალება.

ი. გობეჩიას მოხსენება. ალ. ასათიანის მოხსენება. პარი-
ზის ახალგაზდათა დემოკრატიული წრე. ნოე უორდანიას სა-
ხელობის წრე.

დ. ქიქვიძე—წერილი რედაქციის მიმართ.

ქართული რადიო გადაცემები.

№ 15 ნოემბერი 1953 წელი.

დასკვნა.

გვ. შამუგაძე—მცირე შენიშვნები დიდ ამბებზე.

პ. სარჯველაძე—პატარა ერის ტრადედია.

ანტონ ულრუელიანი—ვიქტორ პიუგო.

z.—საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა.
ორი კონგრესი. საპარლამენტო არჩევნები გერმანიაში, და
ნიაში, ნორვეგიაში.

«ერთა თვითგამორკვევა და კერენსკი?»

იგი—ზოგი რამ.

ი. უ.—სოციალისტური პრესა.

გ. ურატაძე—შენიშვნა შენიშვნაზე.

ევგენი გეგუქორის მოხსენება.

პარტიული ცხოვრება.

ქართულ-ამერიკულ ლიგის მოწოდება.

გრ. ურ.—ლადო ბაქრაძე (ნეკროლოგი).

გ. გრამე—დათიკო კახელაძე (ნეკროლოგი).

ვალ.—«ჩემი წარსული» (ბიბლიოგრაფია).

კ. ვვარჯალაძე—კარგი წიგნი (ბიბლიოგრაფია).

იოსებ ელიგულაშვილის სასაფლაოზე.

გ. უ.—ორი მოხსენება.

ი. მ.—ლი—სოშო.

S. ახალი გამოცემები.

სამძიმრის წერილი. მადლობის გამოცხადება.

ჩვენს მკითხველს.

განაჩენი.